1149 N13.532


# ბურჯი ეროვნებისა

უმთავრესი ბურჯი
ეროვნებისა
...
იაკობი

1997 წელი | 7(24) | ივლისი ● BURJI EROVNEBISA ● ფასი 40 თეთრი


# ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!...




გრიგოლ ორბელიანმა თავისი ცნობილი ლექსის („პასუხი შვილთა") სქოლიოში ამ სტრიქონს ასეთი ახსნა დაურთო: „წაიკითხეთ „დროება" და იხილავთ ქართულის ენის დაპრანჭვას".

ჩვენ კი, ამჯერად, ასე ვიტყოდით: იმგზავრეთ საავტომობილო გზით თბილისიდან სარფამდე და იხილავთ ქართული ენის (სახელმწიფო ენის!) არნახულ დამცირებას, მის სრულ უგულებელყოფას.

სწორედ ამ გზაზეა გადაღებული ფოტოები, რომლებიც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გავფანტეთ. გვინდა, ისინი გაფრთხილებად და განგაშის ზარად აღიქვან მათ, ვისაც ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დაცვა ევალება.

→ 3

ბესარიონ ჟორჟანაძის
საზოგადოების გაზეთი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ილია ჭრელაშვილი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
გენადი ბურჯულაძე,
კახა გაბუნია
ლეილა გეგუჩაძე
ქეთევან დათუკიშვილი,
კორნელი დანელია,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
ნინო ჭუმბურიძე

გაზეთი
„ბურჯი ეროვნებისა"
რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ 99-80-46

ინდექსი 76016

რას ვასწავლით და როგორ

ბიბლიოთეკა

# „ზერად" რომ აღარ ითვლებოდეს

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (30 მაისი– 6 ივნისი, 1997 წ.) გამოქვეყნდა ბატონ ა. არაბულის წერილი „მოსაზრებანი ქართული ენის სასკოლო კურსის დახვეწისათვის", რომელიც ეხება სკოლებში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

XX საუკუნის 90-იან წლებში მომხდარმა სამეცნიერო-ტექნიკურმა თუ პოლიტიკურ-ყოფითმა გარდაქმნებმა ადამიანის ფსიქოლოგიის კარდინალური ცვლილებები გამოიწვია. ამან კი აშკარად დაგვანახა სხვადასხვა სფეროებში და განსაკუთრებით განათლების სისტემაში ჩასატარებელი რეფორმების აუცილებლობა.

მოსწავლეთა სწორ აღზრდაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის და, მით უმეტეს, მშობლიური ენის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამდენად, ქართული ენის სწავლებას სკოლებში განსაკუთრებული სიფაქიზით მიდგომა სჭირდება.

საქართველოში არსებულმა უამრავმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა თუ განათლების სამინისტროსთან არსებულმა მეთოდსაბჭოებმა (ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მეთოდსაბჭო ცალ-ცალკეა!) ვერ აუბეს მხარი დროს. ისე მალე იცვლება ჩვენი ფსიქიკა, მსოფლმხედველობა, რომ ყოველ სასწავლო წელს აუცილებელია სიახლის შეტანა სწავლების სფეროში. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დაწესებულებები თავიანთ ფუნქციებს კარგავენ.

1991 წლის შემდეგ არ გამოსულა სასკოლო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო მეთოდური მითითებანი, რომელიც 1996 წელით თარიღდება, ძველი ტრადიციების აშკარა მემკვიდრეა და, ამდენად, გამოუსადეგარი.

ძველი, უკვე დრომოჭმული მეთოდით ქართული ენის კურსის სწავლება სკოლებში არავითარ შედეგს რომ არ გვაძლევს, ეს ყველასთვის ცხადია. საჭიროა ახალი გზების ძიება. ამ მხრივ ა. არაბულის ზემოხსენებული წერილი პირველი მერცხალია და, იმედია, უკანასკნელი არ იქნება.

ყველა მასწავლებლისთვის ცნობილია, რომ ქართული ენის კურსი სკოლებში „ზერეთია" და ბევრი პედაგოგი თავს არიდებს მის სწავლებას. თუმცა მართალს ბრძანებს ბატონი ა. არაბული: „ვისაც მწირი ენობრივი სალარო აქვს, გრამატიკის წესების ცოდნა ვერაფერს უშველის, ენის უცოდინრობის კომპენსაციას გრამატიკა ვერ ახდენს". ამით თავის დამშვიდება არამც და არამც არ შეიძლება. და მაინც, იქნებ, სწორი მეთოდის არარსებობამ გამოიწვია ეს სავალალო შედეგი? იქნებ, საჭიროა და აუცილებელიც ახალი გზების ძიება?

მოსწავლე-ახალგაზრდობის მეტყველების კულტურის დაბალი დონე მიუთითებს იმაზე, რომ არა მარტო გრამატიკის კურსი, არამედ ლიტერატურის სწავლების ხარისხიც დასახვეწია, რადგან უამისოდ ქართულ ენას ვერ ვასწავლით.

მეტად საინტერესოა ა. არაბულის ერთი თვალსაზრისიც: „კურსი ენისა, როგორც სისტემისა (გრამატიკა), წარმართულ იქნეს მარტივიდან რთულისაკენ, ანუ სინტაქსიდან– ფონეტიკისაკენ (წინადადება – სიტყვა–მორფემა–ფონემა)".

ნებისმიერი უცხოური სახელმძღვანელო ენისა სწორედ ამ პრინციპით არის შედგენილი. გრამატიკის წესების კრებულად ქცეული ჩვენი სახელმძღვანელოები ბევრს ვერაფერს აძლევს მოსწავლეს და სწავლების ხალისს უკარგავს პედაგოგს. ამ აზრს ამტკიცებს კიდეც გაზეთ „ბურჯი ეროვნებისას" – 1996 წლის 17 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი „განგაშის ზარი", რომელშიც გამოქვეყნებულია იმ კითხვარის პასუხები, I-II კურსის სტუდენტებს რომ დაურიგდათ. შედეგი, მართლაც საგანგაშო აღმოჩნდა. „X-XI კლასებში ქართული ენა, როგორც სასწავლო საგანი, ცხრილებში კი არის შეტანილი, მაგრამ არ ისწავლება. ეს საათები ან ქართული ლიტერატურისთვის გამოიყენება, ან სხვა დანიშნულებით. ხშირად არც ტარდება გაკვეთილი (ზოგმა კურსდამთავრებულმა ასე გვიპასუხა: „არ მახსოვს"). მძიმე დღო დასდგომია ჩვენს მშობლიურ ენას და ასეთ „ჩნელბედობის ჟამს" ნათელი წერტილივით მოჩანს ბატონი ა. არაბულის მიერ შემოთავაზებული გრამატიკის სწავლების გზა. კერძოდ, „დასასრულ თუ მოკლედ ჩამოვაყალიბებთ მშობლიური ენის სასკოლო კურსის ძირითად გეგმას, ის ასეთ სახეს მიიღებს:

IV-VIII კლასებში: მშობლიური ენა მრავალთემატური კურსი;

IX-X კლასებში: მშობლიური ენის გრამატიკის კურსი;

XI კლასში: ჰუმანიტარული პროფილით– ენათმეცნიერების საფუძვლები, (საბუნებისმეტყველო პროფილით– მეტყველების კულტურა)".

შემოთავაზებული მოსაზრება ნამდვილად მიქცევლობისა და განხილვის საგანი უნდა გახდეს. იქნებ, საწინააღმდეგო აზრის არსებობამ, კამათმა, მსჯელობამ მაინც მიგვიყვანოს ჭეშმარიტებამდე. უპრიანი იქნებოდა ერთი საერთო აზრი შემუშავებულიყო და თუნდაც ერთ, რომელიმე ჩვეულებრივ (და არა პრესტიჟულ) სკოლაში, ექსპერიმენტის წესით, დანერგილიყო ბატონი ა. არაბულის მიერ შემოთავაზებული ქართული ენის გრამატიკის კურსის სწავლების ეს მეთოდი.

მარინა კარტოზია

ესეც ისტორიაა

**როლანდ თოფჩიშვილი**

# ქართული გვარსახელები

(წერილი პირველი)

ჩვენი ხალხი დიდ ინტერესს იჩენს ქართული გვარების მიმართ. არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა ამ საკითხს. უფრო ხშირად ამ პუბლიკაციათა ავტორებად არასპეციალისტები გვევლინებიან. რაღას აკეთებენ მეცნიერები? მეცნიერებიც მუშაობენ, იკვლევენ. საკვლევი კი ძალიან ბევრია; არც ერთი ხელის მოსმით გადასაწყვეტი. აკაკი შანიძე წერდა: „ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიღრმე–სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული".

დიახ, აკაკი შანიძე ხაზს უსვამდა, რომ ქართული გვარსახელები საგულისყურო წყაროა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მაგრამ ქართული ენის ამ უბნით დაინტერესებულია ეთნოგრაფიაც. სწორედ ამ სამი მეცნიერების ერთიერთგადაჯაჭვით უნდა იქნეს შესწავლილი ქართული გვარსახელები. მხოლოდ მაშინ გაეცემა პასუხი მრავალ კითხვას. ესენია: რა არის გვარსახელი? როდის წარმოიქმნა ისინი? რა ფუნქცია ჰქონდა გვარს? როდის გაჩნდა კონკრეტულად ესა თუ ის გვარსახელი? როგორი იყო ქართული ანთროპონიმული მოდელი? რატომაა ქართული გვარების მაწარმოებელი სუფიქსები მრავალფეროვანი? აი, არასრული ჩამონათვალი კითხვებისა, რომლებიც ქართული გვარების შესახებ ისმება.

წინამდებარე წერილში მხოლოდ ერთ საკითხზე შევჩერდებით: რა არის გვარსახელი? მეცნიერებაში არსებობს ამ სოციალური ტერმინის ზოგადი განსაზღვრება. მოკლედ, გვარსახელს უწოდებენ საზოგადოების პირველადი უჯრედის – ოჯახის მემკვიდრეობით სახელს, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის. ჩვენ გვგონია, რომ ეს განმარტება მაინცდამაინც მთლად ზუსტი და სრულყოფილი არაა. იგი შეიძლება მიესადაგებოდეს იმ ქვეყნების გვარსახელებს, სადაც ის შედარებით ახალი, XVIII-XIX სს–ის წარმონაქმნი მოვლენაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იმ ქვეყნებს, რომლებშიც საუკუნის განმავლობაში ტრადიციულად გადაეცემა თაობიდან თაობას. მოკლედ, აქ იმას აღვნიშნავ, რომ გვარსახელი ქართული სინამდვილისათვის მხოლოდ ოჯახის – ამ პირველადი სოციალური უჯრედის დამახასიათებელი მოვლენა არ არის. ის უფრო დიდი სოციალური ერთეულის, რამდენიმე ათეული და ხშირად ასეული ოჯახის სახელწოდებაა; სახელწოდებაა იმ სოციალური ორგანიზმისა, რომლებიც თავიანთი გვარის წარმომავლობას ერთი პიროვნებიდან ანგარიშობენ და აქვთ საერთო თვითშეგნება ნათესაობის შესახებ, ხშირად– საერთო სალოცავიც. საქართველოში გვარს ერთგვარი ფსიქოლოგიური დატვირთვაც აქვს. ასე რომ, გვარსახელი ჩვენში მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ოჯახის სახელწოდება როდია. ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა. ამ გაგებით გვარსახელის განმარტება თითქმის უახლოვდება პირველყოფილი გვარის **(род)** განმარტებას, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით, გვარსახელი პირველყოფილი გვარისაგან ბევრი სხვა ნიშნითაც განსხვავდება, რომლის შესახებ აქ მსჯელობის ადგილი არაა. აღვნიშნავთ ჩვენში გვაროვნული გვარისა და გვარსახელის მხოლოდ ერთ საერთო ნიშანს. როგორც ერთი, ისე მეორე სოციალური უჯრედისათვის დამახასიათებელი იყო ეგზოგამია– გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვა. აქვე ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ ამ ნიშანს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული გვარსახელების წარმოშობის კვლევის თვალსაზრისით. მოკლედ, ეგზოგამიურობის შენარჩუნება იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენში მოხდა ტრადიციული გადასვლა გვაროვნული გვარისა **(род)** გვიანდელ გვარში **(поздний род)** და გვიანდელი გვარისა– გვარსახელში. ქართული ეთნოგრაფიული მასალების გააზრებას ამ დასკვნისაკენ მივყავართ. ტრადიცია ეგზოგამიისა საკმაოდ მყარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია შვიდი თაობის შემდეგ დაქორწინების ნებას რთავდა, ქართველისათვის წარმოუდგენელი იყო თავის მოგვარეზე დაქორწინება.

გვარსახელი იმითაც განსხვავდება პირველყოფილი გვარისაგან, რომ ეს უკანასკნელი კლასობრიობამდელი (და ადრეკლასობრივი) საზოგადოების მდგრადი სოციალური ერთეული იყო, საერთო წარმომავლობისა და ნათესაობის თვალსაზრისით; პირველს ეს ნიშან-თვისება აღარ ახასიათებს. კლასობრივი საზოგადოების გვარები შეიძლება წარმოიშვას და გარკვეული ხნის, თუგინდ საუკუნეების შემდეგ, სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური მოვლენების შემდეგ, გაქრეს, ახალი გვარსახელი წარმოიქმნას, ერთი გვარსახელი რამდენიმე ახალ გვარსახელად დაიშალოს, დედა–გვარს შტო–გვარები გამოეყოს და ისინი იურიდიულად ახალ გვარსახელებად გაფორმდნენ. აგრეთვე, ერთი გვარსახელი შეიძლება ატაროს ისეთმა კოლექტივებმა, რომლებსაც საერთო წარმოშობა არა აქვთ, როდესაც ისინი ერთი წინაპრისაგან არ მოდიან. ეს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვარსახელს საფუძვლად უდევს მამაკაცის სახელი.

მსოფლიოს მრავალ ხალხში, პირველყოფილი გვარის დაშლის შემდეგ, გვარსახელები არ წარმოქმნილა. ჩვენთან (და ევროპისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში) წარმოიქმნა, რის მიზეზიც იყო სოციალური სისტემა. მხედველობაში გვაქვს ქართული ფეოდალიზმი. გვარი საქართველოში მემკვიდრეობის გადაცემის ერთ–ერთი საშუალებაც იყო. აქ საუბარია როგორც ყმის მემკვიდრეობით ფლობაზე (ესა თუ ის გვარი ამა თუ იმ ფეოდალს ეკუთვნოდა), ისე მიწის მემკვიდრეობით გადაცემაზე საზოგადოების ყველა ფენაში.

დავასკვნით, რომ გვარსახელი არის ის მემკვიდრეობითი სახელი, რომელიც სულ ცოტა, სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ამრიგად, ქართული გვარსახელი ძალიან ძველი მოვლენაა, რომელიც უშუალოდ პირველყოფილი გვარიდანაა ამოსული. შემდეგ წერილში ენახავთ ქართული გვარსახელების სიძველეს ქართული საისტორიო წყაროებისა და საბუთების მიხედვით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადიდებს სული ჩემი უფალსა



29 ივნისი (ახალი სტილით 12 ივლისი) – წმინდათა, დიდებულთა ყოვლადქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი.

30 ივნისი (ახალი სტილით 13 ივლისი) – კრება წმინდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა ათორმეტთა მოციქულთა.

15 ივლისი (ახალი სტილით 28 ივლისი)– ხსენება წმინდა მოწამეთა კვირიკე და ივლიტასი.

17 ივლისი (ახალი სტილით 30 ივლისი) – ხსენება დიდმოწამე მარინესი.

## ელეონის მთა

დღეს ისრაელში ბევრი მოგზაურობს, მაგრამ პირველი საუკუნეების იმ ქრისტიანთა მონათხრობი, რომლებმაც წმ. მიწა მოინახულეს, ინტერესს მაინც არ ჰკარგავს, მით უფრო, რომ დრომ იმ შორეული საუკუნეების სინამდვილიდან ბევრი რამ გააფერმკრთალა და წარსულს მიაბარა.

მონტე კასინოს დიაკონის, პეტრეს გადმოცემით, **ელეონის** ანუ **ზეთისხილის** მთა იერუსალიმიდან ათასი ნაბიჯითაა დაცილებული. მართალია, იგი სიონის მთის სიმაღლისაა, მაგრამ მასზე გრძელიცაა და განიერიც. ელეონის მთაზე ვაზისა და ზეთისხილის გარდა სხვა ხეები ძალზე ცოტა იზრდება. ავტორის თქმით, სპეციფიკური ნიადაგის გამო ელეონის მთაზე კალია არ მრავლდება; ამდენად, აქ უხვად ხარობს ხორბალი, ქერი, მრავლად იზრდება ბალახი და ყვავილებით იფარება არემარე. როგორც ცნობილია, სწორედ ამ მთიდან ამაღლდა ზეცაში უფალი. მისი ამაღლების ადგილზე მრავალი ტაძარი იდგა. მას IV საუკუნის მოგზაური ქალბატონი, სილვია **აკვიტანელი, იმბომონს** უწოდებს. მთის წვერზე აღმართულ მრგვალ ტაძარს გარშემო სამი კამაროვანი პორტიკი ჰქონდა. შიდა ნაგებობა, ვინაიდან უფალი ფიზიკურად აქ მოძრაობდა და აქედან ამაღლდა ხორციელად, ღიად, გადაუხურავის გარეშე იყო დატოვებული. პეტრე დიაკონის თქმით, ტაძრის შუაგულში, ცის ქვეშ ისევ შეიმჩნეოდა უფლის უკანასკნელი ნაკვალევი, რომელიც მან ამაღლების წინ დატოვა დედამიწაზე. ნაკვალევი მაინც შეიმჩნეოდა, მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნეებს ამ ადგილიდან სისტემატურად მიჰქონდათ მიწა. ამ ადგილს, კაცის სიმაღლის სპილენძი ჰქონდა შემოვლებული, სადაც მლოცველი დასავლეთიდან შედიოდა; ზემოდან კი დიდი, მუდმივად ანთებული კანდელი ეკიდა. ეკლესიას აღმოსავლეთით ჩვეულებისამებრ საკურთხეველი ჰქონდა, დასავლეთით კი რვა სარკმელი, რომელთა მოპირდაპირე მხარეს ამდენივე კანდელი ენთო.

ყოველ წელს, ამაღლების დღესასწაულზე, წირვის შემდეგ ისეთი ძლიერი ქარი ამოვარდებოდა, რომ ყველას, ტაძარში მყოფს, მიწაზე აგდებდა. ვინ იცის, ამ სასწაულით ისინი მოციქულების დარად ღირსნი ხდებოდნენ უშუალოდ განეცადათ ღვთის ამაღლების საიდუმლო.

ნინო ლამბაშიძე

## კვირიკობა

წმინდა მოწამეების **კვირიკეს** და **ივლიტას** ხსენებას ეკლესია ზეიმობს 15 ივლისს (ახალი სტილით 28 ივლისს).

დედა-შვილი კვირიკე და ივლიტა მცირე აზიის ლიკაონიის ოლქის ქალაქ იკონიის მკვიდრნი იყვნენ და იმპერატორ დიოკლიტიანეს დროს მე-4 საუკუნეში ცხოვრობდნენ. დიდებულთა შთამომავალი წმინდა ივლიტა ქრისტიანი ქალი იყო. იგი ადრე დაქვრივდა და 3 წლის შვილით კვირიკეთი ქრისტიანთა დევნას ქალაქგარეთ გაექცა. წმინდა ივლიტამ დაუნანებლად მიატოვა სიმდიდრე და საცხოვრებელი და ორი ერთგული მონა ქალით ჯერ სელევკიაში, ხოლო შემდგომ ტარსში მათხოვრობით იფარავდა თავს. დაახლოებით 305 წელს იგი იცნეს და მმართველ ალექსანდრეს წარუდგინეს. მმართველმა წმინდა ივლიტას გაროზგვა ბრძანა, რადგან ქალმა ქრისტეს რჯული უშიშრად აღიარა. წამების დროს იგი იმეორებდა: „მე ქრისტიანი ვარ და ეშმაკეულს მსხვერპლს არ შევწირავო". ბავშვი დედისკენ ტირილით მიიწევდა. მმართველმა მისი მოფერება სცადა, მაგრამ ბავშვი ხელიდან გაუსხლტა და აყვირდა: „დედასთან მიმიშვით, მეც ხომ ქრისტიანი ვარო". ალექსანდრემ იგი კიბეზე მოისროლა. ბავშვმა ქვის კიბეზე სული განუტევა. დიდი ხნის წამების შემდეგ წმინდა ივლიტა მახვილით აჩეხეს.

წმინდა მოწამეების ივლიტას და კვირიკეს წმინდა ნაწილები მოძებნა წმინდა იმპერატორმა კონსტანტინემ. კონსტანტინეპოლის მახლობლად მათი სახელობის მონასტერი აიგო, ხოლო იერუსალიმთან- ეკლესია.

წმინდა კვირიკეს და ივლიტას ხსენებას ზეიმობენ საქართველოშიც. მათი დღესასწაული, **კვირიკობა** განსაკუთრებით გავრცელებულია სვანეთში.

ხალხური რწმენით წმინდა მოწამეებს კვირიკე და ივლიტას ოჯახურ ბედნიერებასა და ავადმყოფი ბავშვების გამოჯანმრთელებას შესთხოვენ.

## წმინდა დიდმოწამე მარინე

წმინდა დიდმოწამე მარინეს ხსენებას ეკლესია ზეიმობს 17 ივლისს (ახალი სტილით 30 ივლისს).

წმინდა მარინე ქურუმის ქალიშვილი იყო და მე-4 საუკუნეში მცირე აზიაში, ქალაქ ანტიოქიაში ცხოვრობდა. წმინდა მარინეს დედა ადრე გარდაეცვალა, მამამ ბავშვი აღსაზრდელად ძიძას მიაბარა. ძიძა ქრისტიანი იყო და იგი მართლმადიდებლად გაზარდა, მამამ ბავშვის გაქრისტიანება რომ გაიგო, შვილად აღარ სცნო იგი. დიოკლიტიანეს დროს დაწყებული ქრისტიანთა დევნისას 15 წლის მარინეც შეიპყრეს. მისმა სილამაზემ მმართველი ოლიმპრი მოხიბლა და ქალწულს ქრისტეს რჯულის უარყოფა და ცოლად გაყოლა შესთავაზა. წმინდა მარინემ მტკიცე უარი განუცხადა. განრისხებულმა მმართველმა მისი დასჯა ბრძანა. ქალწული ფიცარზე მიაკრეს და ნელ-ნელა ათლიდნენ ხორცს. თავად მმართველმა ვერ გაუძლო ამ წამების ყურებას და თვალებზე ხელი აიფარა. წმინდა მარინე ღამით დილეგში ჩააგდეს, სადაც წმინდა გამოცხადება ჰქონდა და მისი ძალით განიკურნა. დილით კვლავ ხეზე მიაკრეს, წმინდანი და ცეცხლით აწამებდნენ, იგი ლოცულობდა: "ღმერთო, შენ წილად მარგუნე შენთვის ცეცხლში გამევლო, ახლა გთხოვ წმინდა ნათლობის წყალში გამატარო".

მმართველმა წყლის გაგონებაზე წმინდანის დიდ კასრში ჩახრჩობა ბრძანა. წმინდა მარინე ღმერთს ევედრებოდა, სასჯელი წმინდა ნათლობად ექცია. წმინდანის წყალში ჩაყვანისთანავე მოულოდნელად განათდა და მტრედი მოფრინდა, რომელმაც ოქროს გვირგვინი მოარტყა ქალწულს. ხუნდები თავისით დაილეწა. მარინე ღმერთს ადიდებდა. წყლიდან ამოსულს ერთი ნაკაწრიც კი არ ჰქონდა. ამის შემყურე ხალხმა ქრისტე იწამა. განრისხებულმა მბრძანებელმა ყველა მათგანის დასჯა მოითხოვა, მაგრამ არავინ შეშინებულა. იმ დღეს დაიღუპა 15000 ქრისტიანი. წმინდა მარინეს თავი მოჰკვეთეს. მისი ცხოვრება აღწერა ამ ამბის თვითმხილველმა თეოტიმემ.

წმინდა დიდმოწამე მარინეს განსაკუთრებულ პატივს სცემენ საქართველოში. მისი სახელობისაა თბილისში ქაშუეთის ქვედა ეკლესია და სოფელ დიღმის ტაძარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამანა მელიქიშვილი

# ეკლესია მართლმადიდებელია და არა მართლმადიდებლური!

„ბურჯი ეროვნებისას" წინა, „№6 (23), ივნისის ნომერში რედაქციამ ჩვენ მიერ მომზადებულ პუბლიკაციაში – „მართლმადიდებელი ეკლესიის სამი ბურჯი" – ფორმა მართლმადიდებელი სათაურშიცა და ტექსტშიც; ყველგან, ჩაასწორა ფორმით– „მართლმადიდებლური". სამწუხაროდ, წყვილი –„მართლმადიდებლური ეკლესია" ხშირად გვხვდება ოფიციალურ დოკუმენტებსა და პრესაში (საქართველოს კონსტიტუციის ტექსტშიც კი), რაც ხელს უწყობს ამ არასწორი, უმართებულო ფორმის გავრცელებას (რედაქციის ზემოთნახსენები კორექტურაც უთუოდ მათი გავლენით აიხსნება). ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია „მართლმადიდებელი" და „მართლმადიდებლური" ფორმების მართებულად ხმარებაზე მკითხველისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმის დამდგენი კომისიის ყურადღების გამახვილება.



ქრისტე პანტოკრატორი, ენკაუსტიკით შესრულებული, VI საუკუნის პირველი ნახევარი. დაცულია სინაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში. წარმომავლობა სირიულ–პალესტინური ან კონსტანტინოპოლური.

**მართლმადიდებელი** არის უფლის მართლმადიდებელი, ანუ ის, ვინც ღმერთს, უფალს მართლად, სწორად ადიდებს, ისე, როგორც ამას გვასწავლის წმინდა წერილი და საეკლესიო გარდამოცემა. ასე რომ **მართლმადიდებელია:** პიროვნება, ადამიანი, ერი, ხალხი, მრევლი, ქვეყანა, სახელმწიფო და, რაღა თქმა უნდა, მაცხოვრის, ქრისტეს მიერ დაფუძნებული ეკლესია, რომელიც მართლად ადიდებს უფალს, ანუ მართლმადიდებელია (ეკლესია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ზოგადად „კრებულს", „კრებას"; კერძოდ კი, „ქრისტიანთა საკრებულოს").

**რწმენაზეც, სარწმუნოებაზეც** უნდა ითქვას **მართლმადიდებელი** (ანუ მართლად მადიდებელი). ასე რომ ადამიანი, პიროვნება შეიძლება იყოს **მართლმადიდებელი** (და არა მართლმადიდებლური) რწმენის, სარწმუნოების აღმსარებელი, ანუ თავისი რწმენით (სარწმუნოებით) მართლად მადიდებელი ღვთისა.

ახლა რა შემთხვევაში შეიძლება (უნდა) ვიხმაროთ მეორე ფორმა– **მართლმადიდებლური.** ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში რასაკვირველია, შეტანილია ეს თავისთავად სწორი ფორმაც, მაგრამ, ცხადია, არა როგორც სინონიმი მართლმადიდებელისა და მისი თავისუფალი ლექსიკური ვარიანტი (მასთან პარალელურად), არამედ ცალკე სალექსიკონო ერთეულად.

**მართლმადიდებლური** შეიძლება ეწოდოს **მრწამსს** ანუ კრედოს, ფორმულას, ასევე აზრს, აზროვნებას, მსოფლმხედველობას, რაც ჩამოყალიბებულია მართლად, სწორად მადიდებლობის საფუძველზე

არასწორი, – **ურ** სუფიქსიანი ფორმით ხმარება მსაზღვრელ–საზღვრულისა „მართლმადიდებლური ეკლესია", როგორც ჩანს, გავრცელდა ანალოგიით წყვილისა „კათოლიკური ეკლესია", რომელშიც, თავის მხრივ, – ურ სუფიქსიანი ფორმა კათოლიკური თავდაპირველად ნახმარი იქნა, როგორც ჩანს, „კათოლიკე ეკლესიისაგან" („კათოლიკე" ბერძნულად „საყოველთაოს" ნიშნავს) მის განსასხვავებლად, რადგანაც იგი მართლმადიდებელი ეკლესიის საყოველთაობის აზრს გამოხატავდა ძველადაც, მისგან დასავლეთის (რომის) ეკლესიის გამოყოფამდეც და დღესაც განხეთქილების შემდეგ სახელწოდება „მართლმადიდებელი" შერჩა აღმოსავლურ ეკლესიას, რომელიც კვლავაც მართლად ადიდებს უფალს და, რომელიც თავისი მოწოდებით კათოლიკეა დღესაც, მაგრამ მის სახელწოდებაში აქცენტირებულია სწორედ მისი ერთგულება წმინდა წერილისა და საეკლესიო გარდამოცემისადმი და შესაბამისად– ღვთის მართლად, სწორად მსახურებისადმი. დასავლურ (რომის) ეკლესიას კი დაუმკვიდრდა (თუ დაიმკვიდრა) სახელწოდება „კათოლიკური" (რომელშიც, სხვათა შორის, აქცენტირებულია მისი პრეტენზია და მისწრაფება საყოველთაობისაკენ).



ამგვარად, სწორია და უნდა იხმარებოდეს **მართლმადიდებელი** ეკლესია და არა მართლმადიდებლური ეკლესია. ამიტომ უნდა გასწორდეს წინა ნომერში ჩვენგან დამოუკიდებლად დაშვებული შეცდომა.

რუბრიკას უძღვება ნინო კვანტალიანი

## აი, ისტორია

ბერძნული საგანმანათლებლო სისტემის მეორე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას გიმნაზია ეწოდებოდა.

გიმნაზიის სასწავლო პროგრამა ორ წელზე იყო გათვალისწინებული. ღებულობდნენ 16 წლის ახალგაზრდებს. გიმნაზია აგრძელებდა და აღრმავებდა იმ ცოდნას, რომელიც ახალგაზრდას მიღებული ჰქონდა მუზებისა და გიმნასტიკურ სკოლებში. იგი ორივეს ფუნქციას კისრულობდა. სწავლების გადასახადის სიდიდის გამო, გიმნაზიაში შედიოდნენ ისინი, რომლებსაც მდიდარი მშობლები ჰყავდათ.

გიმნაზია ქალაქის თავისუფალი მოსახლეობის თავშეყრის ადგილი იყო. ხანდაზმული ადამიანები სიამოვნებით ესწრებოდნენ ჭაბუკთა ლიტერატურულ თუ სპორტულ შეჯიბრებს. იმართებოდა სერიოზული საუბრები. კამათობდნენ საქვეყნო საქმეებზე. გიმნაზია ქალაქის სულიერი ცხოვრების ცენტრი იყო.



გრანი ქავთარია

# ძველი ბერძნული სკოლა

წერილი მესამე

გიმნაზია საბერძნეთის მრავალ ქალაქში არსებობდა. ამ ტიპის ბერძნულ სასწავლებელთა შორის განსაკუთრებული როლი აქვთ შესრულებული ათენის გიმნაზიებს: **აკადემიას**, **ლიკეონს** და **კინოსარგს**. აკადემიასა და ლიკეონს ეს სახელები შერქვათ ადგილმდებარეობის მიხედვით. **აკადემია** გახსნილი იყო მითიური გმირის აკადემოსის სახელობისადმი მიძღვნილ ჭალაში. **ლიკეონი** (ლიკეო. ლათ. ლიცეუმ) - ეწოდებოდა აპოლონ ლიკეელის ტაძართან არსებულ გიმნაზიას. კინოსარგის სახელწოდების წარმოშობა უცნობია.

აკადემიასა და ლიკეონში სწავლის უფლება მხოლოდ ათენის სრულუფლებიან მოქალაქეთა შვილებს ჰქონდათ. კინოსარგში კი დაიშვებოდნენ ისინიც, რომელთა მშობლები ათენის მოქალაქენი არ იყვნენ.

ათენის გიმნაზიებს, განსხვავებულ სახელწოდებათა მიუხედავად, სწავლების ერთნაირი პრინციპი ჰქონდათ.

გიმნაზია ელიტარული სასწავლებელი იყო. მასში მოხვედრა ყველა მსურველს არ შეეძლო. გიმნაზიის მასწავლებლები და მსმენელებიც განსაკუთრებული მონაცემებით იყვნენ დაჯილდოებულნი.

გიმნაზიებს სათავეში **გიმნაზიარქები** ედგნენ. ისინი განაგებდნენ ბიუჯეტს, ამარაგებდნენ გიმნაზიას ლიტერატურით, მეთვალყურეობდნენ სწავლების პროცესს. მათს უფლებებში შედიოდა მასწავლებელთა მოწვევა ან დათხოვნა.

გიმნაზიარქობა საპატიო თანამდებობა იყო. შენობაში იდგა გიმნაზიარქის ქანდაკება. გარდაცვალების შემდეგ ასაფლავებდნენ სასწავლებლის ეზოში და ყოველწლიურად პატივს სცემდნენ მის ხსოვნას. გიმნაზიარქობას მრავალი გამოჩენილი მოაზროვნე და მდიდარი მოქალაქე ესწრაფოდა.

გიმნაზიაში ეცნობოდა ახალგაზრდა ეპოქის მეცნიერულ მიღწევებს და საკმაოდ მაღალი ცოდნით აღჭურვილი ტოვებდა მის კედლებს. მაგრამ იგი არ ითვლებოდა სრულუფლებიან მოქალაქედ, ვიდრე არ გაივლიდა სამხედრო მომზადების ორწლიან კურსს.

18-დან 20 წლამდე ახალგაზრდას თავისებური სამხედრო სასწავლებელი- **ეფებია** უნდა დაემთავრებინა. სახელწოდება წარმომდგარია მარადიული სიჭაბუკის ქალღმერთ ჰებესაგან. ეფებიის გავლა სავალდებულო იყო სოლონის ქონებრივი ცენზის პირველი სამი კლასისათვის (რომელთა წლიური შემოსავალი იყო 200 მედიმნზე მეტი). ეფებიაში შესვლისას, ყველაზე აშკარად ჩანდა ის პრივილეგია, რომელსაც სიმდიდრე ანიჭებდა მონათმფლობელური არისტოკრატიის წარმომადგენლებს. ეფებიაში ჩარიცხვასთან ერთად, ხდებოდა მათი ცნობა სრულუფლებიან მოქალაქედ. საკითხი წყდებოდა კენჭისყრით. ახალგაზრდას ორი აუცილებელი მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა. პირველი- უნდა ყოფილიყო 18 წლის, მეორე- დაბადებული კანონიერი ქორწინებისაგან (ათენის კანონებით, საბერძნეთის სხვა ქალაქიდან ათენში დამკვიდრებული ელინი უცხოელად- მეტეკად იწოდებოდა. ათენის მოქალაქისა და არაათენელი ბერძნების შეუღლების შედეგად დაბადებული ბავშვი სრულუფლებიან მოქალაქედ არ ითვლებოდა). თუ ახალგაზრდა არ იყო 18 წლის და შეეცდებოდა კომისიის მოტყუებას, დანაშაული სასჯელს არ ითვალისწინებდა. მეორე მოთხოვნის დამრღვევი კი მკაცრად ისჯებოდა. არისტოტელეს გადმოცემით, თუ ვინმე მოინდომებდა სახელმწიფოს შეცდომაში შეყვანას და არაათენელი მოინდომებდა ეფებთა რიგებში ჩარიცხვას და სიყალბე დაუმტკიცდებოდა, მონად იყიდებოდა.

ეფებად ჩარიცხვა ათენის სრულუფლებიან მოქალაქეობას ნიშნავდა. ამიტომაც ატარებდნენ ამ პროცედურას დიდი სიმკაცრით, რომ უცხოელი არ გათანაბრებოდა ათენის პრივილეგიურ ფენას.

ეფებად ჩარიცხული ჭაბუკი საზეიმოდ დებდა ფიცს. ფიცში ასახული იყო ახალგაზრდის სულისკვეთება, სამშობლოს სიყვარული და თავდადება: «ვფიცავ, არასდროს შევარცხვენ წმინდა იარაღს და არ დავტოვებ ჩემს ადგილს ბრძოლაში. ვფიცავ, ვიბრძოლებ ჩემი ღმერთებისა და ჩემი კერისათვის მარტო და სხვებთან ერთად. ვფიცავ, ჩემი სიკვდილის შემდეგ დავტოვო სამშობლო არა შემცირებული, არამედ უფრო ძლიერი და მტკიცე».

ეფებიაში ახალგაზრდა ეცნობოდა სამხედრო ხელოვნებას, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ეუფლებოდა იარაღის ხმარების წესებს, ცხენოსნობას, ეტლის ტარებას, ეცნობოდა სატყორცნი მანქანების გამოყენების პრინციპს, ზღვაოსნობის საკითხებს, ბანაკის მოწყობის ხელოვნებას.

ახალგაზრდები ყოველდღიურად, განსაზღვრულ ვადებში, იკრიბებოდნენ საწრთვნელად. თავისუფალ დროს საკუთარი ინტერესების მიხედვით ატარებდნენ. ეწყობოდნენ ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელ ცხოვრებას, ქეიფობდნენ, ესწრებოდნენ თეატრალურ წარმოდგენებს, აქტიურად ერთვოდნენ საკამათო საკითხების განხილვაში. სერიოზულ გავლენას ახდენდნენ ათენის კულტურულ ცხოვრებაზე.

ეფებიის წევრები სწავლის მეორე წელს თეატრში აჩვენებდნენ სამწყობრო მომზადებას. ცერემონიალი გვირგვინდებოდა ფარისა და შუბის გადაცემით. ამის შემდეგ მათ ევალებოდათ ქვეყნის საზღვრების დაცვა. მათვე ეკისრებოდათ საპატიო მოვალეობანი: იცავდნენ მაღალი თანამდებობის პირებს, მონაწილეობდნენ ელჩების მიღებაში, შედიოდნენ მათ დაცვაში.

ათენის მრავალრიცხოვან დღესასწაულებში ეფებიის წევრები ყოველთვის ყურადღებით იყვნენ გარემოცულნი.

20 წლის ასაკში ათენელი ახალგაზრდები სამხედრო ვალდებულებას ამთავრებდნენ და სრულუფლებიანი მოქალაქენი ხდებოდნენ.

აღნიშნული სკოლების გარდა, საბერძნეთში არსებობდა სპეციალური სასწავლებლები, სადაც ხელოვნების ცალკეულ დარგებში ახალგაზრდები თავიანთ ნიჭს სრულყოფდნენ. ელინური სამყარო იცნობს მხატვრობის, ქანდაკების, ორატორული ხელოვნების და სხვა სკოლებს.

ბერძნული განათლების აღმავლობაში დიდი როლი შეასრულეს სოფისტებმა (სოფოს-ბრძენი). უფროსი თაობის სოფისტები ძვ.წ. V საუკუნის შუახანებიდან იწყებენ იმ ცოდნის გადაცემას, რომელსაც ფლობდნენ. ისინი იყვნენ მოგზაური მასწავლებლები, გადადიოდნენ ერთი ქალაქი-





ორიოდე სიტყვით შევეხოთ სახელისა და გვარის ერთად ხმარების საკითხსაც.

ადამიანის სახელისა და გვარის ერთად ხმარების დროს მხოლოდ გვარი იბრუნვის, მის წინ მდგომი სახელი კი უცვლელი რჩება (არა აქვს მნიშვნელობა, თანხმოვანფუძიანია თუ ხმოვანფუძიანი):

სახ. ნიკოლოზ ბარათაშვილ-ი ილია ჭავჭავაძე
მოთხ. ნიკოლოზ ბარათაშვილ-მა ილია ჭავჭავაძე-მ
მიც. ნიკოლოზ ბარათაშვილ-ს ილია ჭავჭავაძე-ს
ნათ. ნიკოლოზ ბარათაშვილ-ის ილია ჭავჭავაძ-ის
მოქ. ნიკოლოზ ბარათაშვილ-ით ილია ჭავჭავაძ-ით
ვით. ნიკოლოზ ბარათაშვილ-ად ილია ჭავჭავაძე-დ
წოდ. ნიკოლოზ ბარათაშვილ-ო ილია ჭავჭავაძე-(ვ)

ამგვარადვე იბრუნვის წყვილი, რომელშიც ადამიანის საკუთარ სახელს მოსდევს ხელობის, წარმომავლობისა თუ თანამდებობის სახელი (გოგია მეწისქვილე, ბექა ოპიზარი, დავით რექტორი...), ან – ისეთი სიტყვა, რომელიც ამ სახელის ეპითეტია, მისი განმსაზღვრელი რაიმე ნიშნის მიხედვით (დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, სოლომონ ბრძენი, ბაგრატ მეოთხე...):

სახ. ბექა ოპიზარ-ი სოლომონ ბრძენ-ი
მოთხ. ბექა ოპიზარ-მა სოლომონ ბრძენ-მა
მიც. ბექა ოპიზარ-ს სოლომონ ბრძენ-ს
ნათ. ბექა ოპიზრ-ის სოლომონ ბრძენ-ის
მოქ. ბექა ოპიზრ-ით სოლომონ ბრძენ-ით
ვით. ბექა ოპიზრ-ად სოლომონ ბრძენ-ად
წოდ. ბექა ოპიზარ-ო სოლომონ ბრძენ-ო

შესაძლოა საკუთარ სახელსა თუ გვარს (ან – ორივეს ერთად) წინ უსწრებდეს სიტყვები: მწერალი, პროზაიკოსი, პოეტი, მხატვარი, აკადემიკოსი, პროფესორი, დოცენტი და ა.შ. ამ შემთხვევაშიც ჩვეულებრივი წესით იბრუნვის საკუთარი სახელი (გვარი). მის წინ მდგომ (განმსაზღვრელ) სიტყვას კი ბრუნვის ნიშნები ეჩენება მხოლოდ სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში. დანარჩენ ბრუნვებში იგი ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი:

სახ. პროფესორ-ი ივანე ჯავახიშვილ-ი
მოთხ. პროფესორ-მა ივანე ჯავახიშვილ-მა
მიც. პროფესორს ივანე ჯავახიშვილ-ს
ნათ. პროფესორ ივანე ჯავახიშვილ-ის
მოქ. პროფესორ ივანე ჯავახიშვილ-ით
ვით. პროფესორ ივანე ჯავახიშვილ-ად
წოდ. პროფესორ-ო ივანე ჯავახიშვილ-ო

სახ. პოეტ-ი გალაკტიონ ტაბიძე
მოთხ. პოეტ-მა გალაკტიონ ტაბიძე-მ
მიც. პოეტ გალაკტიონ ტაბიძე-ს
ნათ. პოეტ გალაკტიონ ტაბიძ-ის

# ქართული ენა

მოქ. პოეტ გალაკტიონ ტაბიძ-ით
ვით. პოეტ გალაკტიონ ტაბიძე-დ
წოდ. პოეტ-ო გალაკტიონ ტაბიძე-(ვ)

ჩვეულებრივ, ჯერ სახელს ვამბობთ, შემდეგ – გვარს, მაგრამ სიების შედგენისას ჯერ გვარი იწერება, შემდეგ – სახელი. უნდა გვახსოვდეს, რომ ნორმის მიხედვით ფუძეთანხმოვნიან ადამიანის სახელს ი-ს დართვა არ უნდა: ასათიანი დავით, ბაქრაძე გურამ, დვალი ოთარ, ვაჩნაძე გრიგოლ, თაბაგარი ეთერ, ქებაძე ლევან, შენგელიძე თამარ და ა.შ. (და არა: ასათიანი დავითი, ბაქრაძე გურამი, დვალი ოთარი, ვაჩნაძე გრიგოლი, თაბაგარი ეთერი, ქებაძე ლევანი, შენგელიძე თამარი...)

## თანდებულიანი ბრუნვები

„ბრუნვის ფორმა ქართულში შეიძლება მარტივად იყოს წარმოდგენილი,– მას არა ახლდეს რა" (ა. შანიძე), მაგრამ შესაძლოა ბრუნვის ფორმას მოსდევს თანდებული, სახელთან შერწყმული ან ცალკე მდგომი.

რას ეწოდება თანდებული? რომელ ბრუნვებს შეიძლება დაერთოს იგი? რა ცვლილება შეიძლება განიცადოს სახელმა თანდებულის დართვისას?

**„თანდებული ჰქვია** დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ სიტყვას ან ბგერათა კომპლექსს, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას, რომ აღნიშნოს მდებარეობა, მიმართულება, დანიშნულება ან სხვა რაიმე დამოკიდებულება დასახელებულ საგანთან" (ა. შანიძე). მაგალითად: ხე-ს-თან, სახლ-ის-კენ, დედ-ის-თვის, შიშ-ით-ურთ და ა.შ. თანდებულები ოდესღაც დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვები იყვნენ, რომლებიც დროთა განმავლობაში „გაცვდნენ" და ბგერათკომპლექსებად ქცეულნი დაუკავშირდნენ სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას (შდრ.: ვითარცა ღმერთი – ღმერთ-ი-ვით; ქვეყანასა ზედა – ქვეყანა-ზე; სახლსა შინა – სახლ-ში...). უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი თანდებული ნებისმიერ ბრუნვას არ ერთვის: გარკვეული თანდებული გარკვეულ ბრუნვას (ან ბრუნვებს) უკავშირდება. ქართულში თანდებული შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ ხუთ ბრუნვას: სახელობითს, მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითს. მოთხრობითი და წოდებითი ბრუნვები თანდებულებს ვერ იწყობენ.

გავეცნოთ თანდებულიან ბრუნვებს ცალ-ცალკე:

**სახელობით ბრუნვასთან** ერთადერთი თანდებული გვხვდება: – **ვით**, ისიც – მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელთან: კაც-ი-ვით, ქალ-ი-ვით, ბავშვ-ი-ვით...

**მიცემით ბრუნვას** უკავშირდება რამდენიმე თანდებული: **– ვით, –თან, – ზე, – ში, –ვით** მიცემით ბრუნვასთან აღარ განარჩევს სახელის ფუძის მიხედვით, შეუძლია დაუკავშირდეს თანხმოვანფუძიანსაც (კაც-ს-ა-ვით, ქალ-ს-ა-ვით...) და ხმოვანფუძიანსაც (დედა-ს-ა-ვით, ხე-ს-ა-ვით... ალბათ შენიშნეთ, რომ მიცემით ბრუნვასთან დაკავშირებული **–ვით** თანდებული **ა** სავრცობს ითხოვს). **–თან** თანდებულის დართვის დროს ხმოვანფუძიანი სახელი ინარჩუნებს **ს** ბრუნვის ნიშანს: ხე-ს-თან, წყარო-ს-თან, ზღვა-ს-თან... მაგრამ, თუ სახელი თანხმოვანფუძიანია, ბრუნვის ნიშანი **ს**

→ 8




(გაგრძელება. დას. იხ. „ბე" №3-6, 1997 წ.)

# აბიტურიენტის ფურცელი

7

დაიკარგება: კედელ-ს-თან, ბიჭ-ს-თან, სახლ-ს-თან...

ასევე იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ზე და -ში თანდებულების დართვის დროსაც: ქვეყანა-ს-ზე, სოფელ-ს-ზე, ხე-ს-ში, ოთახ-ს-ში... (გამონაკლისია მხოლოდ ერთი ნაცვალსახელი, რომელშიც ბრუნვის ნიშანი **ს** შენარჩუნებულია: მა-ს-ზე, მა-ს-ში).

ზემოთ ჩამოთვლილი თანდებულები სახელის ბრუნვის ფორმასთან ერთად იწერება (შერწყმულია). მაგრამ მიცემით ბრუნვასთან ცალკე მდგომი თანდებულებიც შეიძლება შევხვდეს -**შორის** და **შუა**: „მამა-ს-ა და შვილ-ს შორის ყინული გალღვა", „კლდეებ-ს შუა მოჩანს ზეცა". მივაქციოთ ყურადღება: **შორის** და **შუა** მიცემით ბრუნვაში მდგარ ორ სახელთან იხმარება (ამ შემთხვევაში **და** კავშირის წინ **ა** სავრცობიანი ფორმაა სასურველი), ან - ერთ სახელთან, მაგრამ - მრავლობით რიცხვში მდგართან. მხოლობით რიცხვში მდგარ სახელთან **შუა** და **შორის** თანდებული მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, თუ ამ სახელს ერთზე მეტი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი ახლავს (მსაზღვრელად): „ორ ზღვა-ს შუა ძველისძველად სამხარი იყო ლეღლო"...

**ნათესაობითი ბრუნვა** უფრო მდიდარია თანდებულებით: შერწყმულითაც და ცალკე მდგომითაც.

**-თვის, -გან, -კენ** შეიძლება დაერთოს ნათესაობითი ბრუნვის როგორც გაუვრცობელ, ისე გავრცობილ ფორმას: დედ-ის-თვის -დედ-ის-ა-თვის, დედ-ის-გან -დედ-ის-ა-გან; დედ-ის-კენ - დედ-ის-ა-კენ...

- **თანავე** მხოლოდ გაუვრცობელ ფორმასთან შეიძლება შევხვდეს: დაბადებ-ის-თანავე, მოსვლ-ის-თანავე; გაღვიძებ-ის-თანავე. ალბათ შენიშნეთ, რომ- **თანავე** ნათესაობით ბრუნვაში, ჩვეულებრივ, მოქმედების სახელებთან (საწყისებთან) გვხვდება (დაბადება, მოსვლა, გაღვიძება...).

ნათესაობით ბრუნვასთან -**ებრ**//-**მებრ** თანდებულიც გვაქვს (იგი მსგავსებას აღნიშნავს და უახლოვდება -ვით თანდებულის მნიშვნელობას). მაგალითად: მგლ-ის-ებრ, ცხვრ-ის-ებრ... მაგრამ ჩვეულებ-ის-ა-მებრ, წეს-ის-ა-მებრ... დავუკვირდეთ: გაუვრცობელი ნათესაობითი ბრუნვა - **ებრ**-ს დაირთავს,სავრცობიანი კი- **მებრ**-ს (იშვიათად **-ებრ** პირდაპირ ფუძეზეც შეიძლება იყოს დართული: ლომ-ებრ გულადი...).

ცალკე მდგომი თანდებულებიდან ნათესაობით ბრუნვასთან იხმარება: **მიერ, გამო, შესახებ, გარდა** ადამიან-ის მიერ, გაუგებრობ-ის გამო, სიკეთ-ის შესახებ, სიმშვიდ-ის გარდა (გარდა შეიძლება წინ უსწრებდეს ნათესაობით ბრუნვაში მდგარ ნაცვალსახელსგარდა ამ-ის-ა).

ნათესაობით ბრუნვასთან ცალკე მდგომი **თანდებულის მნიშვნელობით ზმნიზედებიც შეიძლება შევხვდეს** (მოგაგონებთ: ზმნიზედა ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილია, რომელიც უპირატესად




## ქართული ენა

### ბიბლიოთეკა

ზმნასთან იხმარება და აღნიშნავს ზმნით გადმოცემული მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს და ა.შ. მაგალითად: სული **წინ** იყურებოდა; **უკან** აღარ მოუხედავს; **მარჯვნივ** გაუხვია; **ზემოთ** ავიდა და ა.შ. ხაზგასმული სიტყვები დამოუკიდებლად არიან ნახმარი, მათ თავისი ძირითადი მნიშვნელობა (ზმნიზედისა) აქვთ. მაგრამ, თუ მათ დავაკავშირებთ სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან, მაშინ ისინი თანდებულებად იქცევიან და სახელთან ერთად განიხილებიან წინადადების გარჩევის დროს: სახლ-ის წინ ბაღია; ბავშვ-ის უკან დედა იდგა; გზ-ის მარჯვნივ ჭადრების ხეივანი იწყებოდა; ორშაბათ-ის შემდეგ აღარ მინახავს...

მაშასადამე, ერთი და იგივე სიტყვა ერთ შემთხვევაში **ზმნიზედა** შეიძლება იყოს, მეორე შემთხვევაში - **თანდებული** (მათ **ზმნიზედურ თანდებულებსაც** უწოდებენ). შდრ.: ორღელივ არაგვი ჩანდა (ორღელივ ზმნიზედაა) და: ნაძვის ხ-ის ორღელივ ბავშვებმა ცეკვა დაიწყეს (ორღელივ თანდებულია).

**მოქმედებით ბრუნვასთან** გვხვდება თანდებულები-**ურთ** და **-გან**. ორივე თანდებული მოქმედებითი ბრუნვის გაუვრცობელ ფორმას დაერთვის, მაგრამ, თუ **-ურთ** თანდებულის დართვისას სახელს არავითარი ცვლილება არ მოსდის (შვილ-ით-ურთ, ძმ-ით-ურთ...), -გან თანდებულის დართვის შედეგად სახელში რამდენიმე ფონეტიკური პროცესი ხდება: სოფლ-ით-გან - სოფლ-იდ-გან - სოფლ-იდან, ხ-ით-გან - ხ-იდ-გან - ხ-იდან... (მაშასადამე,ჯერ მჟღერმა გ ბგერამ ყრუ თ-ც გაამჟღერა და დ-დ აქცია, ე.ი. მოხდა ასიმილაცია ანუ დამსგავსება, შემდეგ გ დაიკარგა). ასეთივე პროცესი მოხდა ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებშიც: წყარო-თ-გან - წყარო-დ-გან - წყარო-დან.

ამგვარად, **-იდან, -დან** დაბოლოება **-გან** თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფონეტიკური სახეცვლილების შედეგია: ცვლილება განიცადა ბრუნვის ნიშანმაც და თანდებულმაც.

**ვითარებითი ბრუნვის** ფორმას დაერთვის თანდებული - **მდე** ან მისი ვარიანტი - **მდის**. ფონეტიკური ცვლილება ამ შემთხვევაშიც ხდება - იკარგება ბრუნვის ნიშნისეული **დ**: სოფლ-ად-მდე - სოფლ-ამდე; ქალაქ-ად-მდის - ქალაქ-ამდის. ხმოვანფუძიან სახელს, რომელიც ვითარებითი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ **დ** აქვს, რომელიც მთლიანად იკარგება- **მდე**//**მდის** თანდებულის დართვის გამო: წყარო-დ-მდე - წყარო-მდე, კვირა-დ-მდის- კვირა-მდის...

თანდებულიან ბრუნვებთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ მართლწერის საკითხსაც:

1. თუ სახელის ფუძე უმთავრდება **ზ** თანხმოვანზე, **-ზე** თანდებულის დართვისას მას ორი **ზ** ექნება: ვაზ-ზე, ხაზ-ზე, კოვზ-ზე, ასპარეზ-ზე...

2. თუ სახელის ფუძე **შ** ხმოვანზე ბოლოვდება, **-ში** თანდებულის დართვის შემდეგ, სიტყვაში ორი **შ** მოიყრის თავს: ულვაშ-ში, ქარაფშ-ში, ბალიშ-ში...

3. თუ სახელის ფუძე **თ**-ზე მთავრდება, - **თან** თანდებულიან ფორმაში ორი **თ** გვექნება: ხალათ-თან, კაკანათ-თან, საათ-თან, ბარათ-თან.

გარდა თანდებულისა, სახელს ბრუნვებისას შეიძლება დაერთოს **ნაწილაკიც**- (ც, -ვე, -და... (ნაწილაკიც დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ბგერათკომპლექსია); მაგრამ, თუ თანდებული ერთეულა რომელიღაც **გარკვეულ** ბრუნვას (არა ნებისმიერს), ნაწილაკი **ყველა** ბრუნვის ფორმასთანაა შესაძლებელი, გარდა წოდებითისა: კაც-ი-ც, კაც-მა-ც, კაც-სა-ც, კაც-ის-ა-ც, კაც-ით-ა-ც, კაც-ად-ა-ც; ბავშვ-ი-და, ბავშვ-მა-და, ბავშვ-ს-და, ბავშვ-ის-და, ბავშვ-ით-და, ბავშვ-ად-და...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლეილა გამეზარდაშვილი

ჩვენი აზრით, ქრისტიანულ სიყვარულს ეძღვნება ლექსი „კიდევაც ენახავ გაზაფხულს", რომელშიაც ორგანულადაა ჩაქსოვილი პატრიოტული მოტივიც. გაზაფხულის მოსვლა, „სიკვდილის სიცოცხლედ" ქცევა ლექსში „სულის გაზაფხულობას", „ზნეობის აყვავებას" უკავშირდება. „იგი, ვინც სიყვარულს არის მოკლებული, ვერა დროს ვერ ეღირსება გაზაფხულს სულისას. უპირველეს ყოვლისა, სული უნდა გრძნობდეს ბედნიერებას, იგი, როგორც გაზაფხულზე ბუნება, უნდა჻ ჰყვაობდეს, უნდა მწვანობდეს..." – წერს ვაჟა თავის წერილში „საგაზაფხულო ფიქრები". ლექსში გაზაფხულის აყვავებული ბუნება, განოყიერებული მიწა, ადიდებული მდინარეები, აბიბინებული მთა-ბარი სიმართლის გამარჯვების მაუწყებელია. სიმართლის გამარჯვება კი სპობს ქვეყნად ტანჯვასა და შიმშილს. არწივი, რომელიც გამარჯვებას ამცნობს ქვეყანას, სიმბოლოა სულიერი ამაღლებისა და შემეცნებისა. ბოროტების სიმბოლო გველი-მუცლით დაღოღავს მიწაზე „არჩობს ბოღმა და ბრაზია", რადგან სიმართლეს– ნაზსა და ტურფაიას– ვეღარ ანთხევს შხამსა და გესლს. აღარ ჩხავიან არც „ჩვენი სიკვდილის მსურველნი ყორნები", ე.ი. ბოროტი სულები. სიცოცხლის სით ძალას მატებს მომაკვდავ არე-მარეს. მზესა და მთვარესაც გაუათასებიათ სინათლე, რათა უხვად მოჰფინონ წყალობა ჩვენს დაჩაგრულ მხარეს. ზნეობრივი ამაღლება ვაჟას ყველა ლექსში სამშობლოს კეთილდღეობის მომასწავებელია. ვაჟასთვის, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის, სამშობლოს ბედი თითოეული მამულიშვილის, თითოეული ადამიანის ზნეობას უკავშირდება. ბუნების აყვავების, ზნეობრივი სიწმინდისა და სამშობლოს კეთილდღეობის ფონზე ლექსში იხატება სანატრელი სახე მკვდრეთით აღმდგარისა, ე.ი. იესო ქრისტესი. მას გვერდს უმშვენებენ მისი „ზვარაკნი", „მეტის-მეტი ტრფიალებით თავდადებული" ვაჟკაცები, „ერთგული მამულიშვილები", ე.ი. ისინი, ვინც რჯულსა და სამშობლოს თავი შესწირეს. რჯულისათვის თავის შეწირვაზე მიგვითითებს სიტყვა „ზვარაკი", რომელიც ქრისტესათვის თავდადებულთა სიმბოლიკას ეფუძნება. სწორედ ამის გამო გახდნენ გმირები ცათა სასუფევლის ღირსნი, რაც ანგელოზების მიერ დაფნის გვირგვინებით შემკობაში გამოიხატება:

„ანგელოზები დაფნისას
გვირგვინს ადგამდნენ გმირებსა".

ვაჟას სწამს, რომ ვისაც „მეტის-მეტი ტრფიალება" უღვივის გულში, ვინც სიმართლეს ემსახურება და თავს სწირავს რჯულსა და სამშობლოს, ის აუცილებლად დაიმკვიდრებს სასუფეველს.

„პოლითემატიურია" ვაჟას ცნობილი ლექსი „არწივი". არწივი ვაჟას შემოქმედებაში სიმბოლოა პიროვნული სიძლიერის, გაუტეხლობის, სიმართლის და სულიერი აღმაფრენის– ზეციური სიმაღლიდან სამყაროს ჭვრეტის. ლექსში „მარტოობა" პოეტი ამ სიტყვებით მიმართავს არწივს:

„შენს მოსვლას როცა კი ვიგრძნობ,
გამოვიცვლები ნამზედა;
მყის ვტოვებ დედამიწასა,
გადავსახლდები ცაზედა".

ლექსში „ვის ჰქვიან კაცი", არწივი ადამიანის სიძლიერისა და პიროვნული ამაღლების გამომხატველია:

„კაცი მას ჰქვიან, ვინაც სიცოცხლე
თვისი დალია მედგარ ბრძოლაში,
როგორც არწივმა ფრთით სცნო სიმაღლე,
არ გაერია ყვავთა გროვაში".

დაჭრილი არწივი იგივე სიმართლის დამარცხების განსახიერებაა, მაგრამ მაინც სიმართლის, პიროვნული სიძლიერის დათრგუნვაა, მაგრამ მაინც პიროვნული სიძლიერე, ფრთაშეკვეცილი სულიერი აღმაფრენაა; მაგრამ მაინც აღმაფრენა, რომელიც, რაც არ უნდა დაეცეს, მაინც ზეციური სიმაღლიდან ჭვრეტს ყოველივეს.

ყვავ-ყორნები, როგორც ბარათაშვილთან, ვაჟასთანაც სიმბოლოა ბოროტი სულების, მტრების, რომლებიც წინ ეღობებიან სიკეთეს, სიმართლეს და კაცობრიობის წინსვლას. მათი წინააღმდეგობა დროებითია:

„ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავართ ხელადა,
თორო ენახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!"

მართალია, არწივი დაჭრილია, მაგრამ მისი მებრძოლი სულისკვეთება იმავე გრძნობას ბადებს მკითხველში. პოეტი იმდაგვარად ხატავს არწივს– ბუნების ამ ლაღ შვილს, რომ შესაბამისი გრძნობები გაუღვივოს ადამი-

10

# თამარ შარაბიძე

# ვაჟა-ფშაველას ლირიკა








10

9 ←

ანსაც. ვაჟა ემოციურად განიცდის არწივის დარდს და ასეთივე გრძნობით განაცდევინებს მკითხველს. დაჩაგრული, დაჭრილი არწივის წარმოსახვა გვეხმარება მისი იდეალური სახის აღქმაში, რაც მშვენიერად წარმოჩნდება ლექსში „კიდევაც ენახავ გაზაფხულს“:

„სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ყიოდეს“.

ლექსი „არწივი“ შეიძლება მოაზრებულ იქნეს ტრადიციული გაგებითაც: არწივი– საქართველოა, რომელსაც მტრები– ყვავ-ყორნები ახვევია. მოვა დრო და არწივი გაიმარჯვებს, დაამარცხებს ყვავ-ყორნებს და საქართველოც განთავისუფლდება, ისევე როგორც მოჯაჭვული ამირანი გაწყვეტს ჯაჭვებს და თავს აიშვებს. საინტერესოა, რომ ვაჟას ცნობიერების ცენტრში დგას დაჭრილი არწივი და არა ძალღონით სავსე, მოჯაჭვული ამირანი და არა თავისუფალი. პოეტის აზრით, ტანჯვითა და ბრძოლით უნდა იქნეს მიღწეული ჭეშმარიტი თავისუფლება როგორც ქვეყნისა, ასევე ადამიანისა.

ვაჟა-ფშაველას ჭეშმარიტი შეხედულებით, ქვეყნის ბედნიერება დამოკიდებულია მისი თითოეული წევრის პიროვნულ ღირსებებსა და ზნეობაზე, თავდადებულ მამულიშვილობაზე. ასეთი გმირის სახეს ქმნის ვაჟა ლექსში „კაი ყმა“, რომელიც ხევსურულ პანგზეა შექმნილი. ფოლკლორული გმირის მაღალი ზნეობა და საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზე. იგი მზადაა სახელოვანი სიკვდილისათვის. მისი გულადობა, ამაყობა და სიმტკიცე თემში თავმდაბლობითა და მოთმინებით იცვლება. თუმცა კაი ყმა ხანდახან თემსაც აუხირდება, მაგრამ გმირის ეს ხასიათი ხალხმა უნდა მოითმინოს, რადგან იგი მუდამ თემისთვის ცდილობს; სხვას აძღობს, თვითონ კი მუდამ „მშიერი მგელია“.

როგორც ვხედავთ, ვაჟას „კაი ყმა“ ხელმიწვდენით მიჰყვება ფოლკლორში დამკვიდრებულ გმირის იდეალს. იგი მუდამ იქ ტრიალებს, სადაც მტერია, სადაც ხმლები და ხანჯლები ელავს, სადაც ტყვიანი მოციქულობენ, სისხლის წვიმა იღვრება და სიკვდილი „დაგელაობს“.

„სახე-სისხლ-გადამდინარე“ კაი ყმას ტკივილი არასოდეს ეხატება. იგი „ქორებულად“ დაფრინავს რისხვით. პირველი იწყებს ომს და ბოლო ტოვებს ბრძოლის ველს. როცა სხვანი ნადავლს იყოფენ, ის ისევ მტრის წინ გრგვინავს. თავის „საუფროსო“ წილს ამხანაგებს აძლევს. ის ლაშქრის დარაჯია და თემის ფიქრის წარმმართველი.

საარაკოა მისი სამართლიანობა და კეთილი საქმის ჩუმად კეთება, რაც მის უდიდეს ზნეობაზე მიგვითითებს.

„მტრის ჯავრის ედგას ლოგინი,
მტრის ჯავრი საბნად პფარავდეს.
იქ იდგეს ხმალ-ამოწვდილი,
საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს.




ვაი სამშობლოს... ვაი ჩვენს ჟამს...

11 →

## ქართული ლიტერატურა

გაბჭავებულს სიმართლეს
უსამართლობა სძლავდეს.
სხვისა იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰმალავდეს.
მზედ იდგეს ხევსურეთისა,
უხვად შუქს ჩამოჰღალავდეს“.

კაი ყმის მზესთან შედარება მის ღვთიურ ბუნებაზე მიგვითითებს. ის მადლიანია, დავლათიანი. მადლი ეძლევა უდიდესი სიყვარულის გრძნობისა და აქედან გამომდინარე თავგანწირვის გამო. მას ურჩევნია:

„მოკვდეს მშიერ-ტიტველი,
კვდებოდეს, არა გმინავდეს:
თავის სამარად, სუდრადა,
მარტო სახელსა სწირავდეს“.

კაი ყმის იდეალი სცილდება ადამიანური მგრძნობელობის ფარგლებს. გმირს იმდენად აქვს დაძლეული სიკვდილის შიში, რომ წყლული დევის კოცნად მიაჩნია, სამარე– ლოგინად, საკაცე– თავის ლურჯად, ქვა-ლოდი – ნაბდად, ქალ-რძლის ქვითინი– სიცილხარხარად, მათი ცრემლები კი „ღრუბელთა გადმონაყარ ხორშოშად“. ვაჟა არაჩვეულებრივ მხატვრულ სახეებს ქმნის ადამიანის პიროვნული სიძლიერის გამოსახატავად.

კაი ყმა სულეთის ხმლიანი შედის, „ლაღი ლაღისა ცხენითა“. წინ მოყაშყაშე არწივი მიუძღვის. გარდასულ დროთა გმირები ქებას უძღვნიან მას. ერეკლე თავის გვერდით ისვამს. პირმცინარე თამარი ეგებება. უფალი ჯვარს ადგამს. ანგელოზები ხარობენ. მხოლოდ ალქაჯნი არიან წყენით.

ზეციური საქართველოს წარმოჩენა ლექსში კაი ყმის ფიზიკური და სულიერი ძალების ერთიანობაზე მიგვანიშნებს: არწივის სახეც მის პიროვნულ სიძლიერესა და ამაღლებულობას მოწმობს.

– ვაჟა მიუთითებს მკითხველს, რომ საქვეყნო საქმის უგულებელყოფა, მცონარება და შური ადამიანს სასუფეველს აკარგვინებს. ცხოვრება ისე გადის, რომ კაცი ვერ ასრულებს თავის ამქვეყნიურ ვალს:

„უქმად ჩამაპლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქოს სწვდებითა.
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა!“

როგორც ვხედავთ, ვაჟას გმირის იდეალი ხელმიწვდენით მიჰყვება ხალხურ პოეზიაში დამკვიდრებულ გმირის იდეალს. ვაჟას მოსწონს და უყვარს ფოლკლორული გმირი, რომელიც შექმნილია ხალხის ცხოვრების, მისი ოცნების, ფანტაზიისა და შეუმცდარი აზროვნების წყალობით. ვაჟას პოეტური ნიჭი კრებს სხვადასხვა ფოლკლორულ ლექსში გამოთქმულ შეხედულებებს, აზრებს გმირის შესახებ და ერთ მხატვრულ სახეში – კაი ყმის სახეში აყალიბებს. პოეტი გმირის სულიერ სიმტკიცეზე უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებს, ვიდრე ხალხური პოეზია. მიუხედავად ამისა, ვაჟა ხალხური მასალის უბრალო გამმეორებელი კი არ არის, არამედ ინდივიდუალური ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი, რომლის მხატვრულ აზროვნებაში ბუნებრივადაა ჩაქსოვილი ფოლკლორული მასალისა და ხალხური მეტყველების პოტენციური ძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

დან მეორეში იმის მიხედვით, სად უკეთესი პირობები იყო. სოფისტების ძირითადი მიზანი სახელმწიფოსათვის ღირსეული მოქალაქეების მომზადება იყო. მთავარ ყურადღებას უთმობდნენ რიტორიკას- სიტყვის წარმოთქმის ხელოვნებას და ეერისტიკას- კამათის ხელოვნებას და მოწინააღმდეგის არგუმენტების უარყოფას ნებისმიერი საშუალებებით. მათმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ბერძნული მჭევრმეტყველების განვითარებას. იმისათვის, რომ ორატორის ეფექტური შთაბეჭდილება მოეხდინა მსმენელზე, მოეთხოვებოდა ლიტერატურული განათლება და ისტორიის ღრმა ცოდნა. სოფისტები იკვლევდნენ მითოლოგიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ საკითხს. ისინი იყვნენ პირველი ფილოსოფოსი – მასწავლებლები, რომლებიც ახალგაზრდობას დაგროვებულ ცოდნას გადასცემდნენ.

სოფისტებმა შექმნეს უმაღლესი განათლების ფორმები. მათი მსმენელები იყვნენ გიმნაზიის კურსგავლილი ახალგაზრდები, რომელთაც ეკონომიკური მდგომარეობა ცოდნის გაღრმავების საშუალებას აძლევდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფისტები უმაღლესი რანგის ორატორები იყვნენ და, თავიანთი პედაგოგიური მოღვაწეობით, არსებითი გავლენა მოახდინეს ბერძნულ მჭევრმეტყველებაზე.

გრანი ქავთარია

# ძველი ბერძნული სკოლა

წერილი მესამე



სოფისტებმა მრავალი სიახლე შეიტანეს ბერძნულ აზროვნებაში. განსხვავებული ფილოსოფიური თუ პედაგოგიური შეხედულებების გამო, სოფისტების მიმართ კრიტიკული პოზიცია ეკავათ სოკრატეს, პლატონს, ქსენოფონტს, არისტოტელეს.

სოფისტებმა საფუძველი ჩაუყარეს მაღალი ტიპის სკოლას. სკოლაში გადასახადის სიდიდის გამო სწავლა ერთეულებს შეეძლოთ. მსმენელთა რიცხვის გასაზრდელად ისინი მიმართავდნენ მდიდარ ოჯახთა შვილებს. ამ გზით მნიშვნელოვნად გამოიკვეთა მდიდართა და განათლებულთა ახალი ფენა.

ჩვენამდე მოღწეულია სოფისტებისა და მათი მოწაფეების ურთიერთობათა შესახებ რამდენიმე საინტერესო ფრაგმენტი. მაგალითისათვის მოვიტანთ **პროტაგორისა** და მისი მოწაფის **ევატლეს** დავას. მოწაფესა და მასწავლებელს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ევატლე ვალდებულებას (სწავლის ფულის გადახდას) შეასრულებდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა პირველ სასამართლო პროცესს მოიგებდა. დასრულდა სწავლის პერიოდი. ევატლე არ ჩქარობდა მასწავლებლის წინაშე დადებული პირობის შესრულებას და სასამართლო პროცესში ჩაბმას თავს არიდებდა. პროტაგორმა მოთმინება დაკარგა, შეხვდა ევატლეს და დაემუქრა, რომ უჩიოდებდა და სასამართლოს მეშვეობით გადაახდევინებდა ვალს. ევატლემ მშვიდად უპასუხა: რატომ ჩქარობთ? მე ხომ ჯერ არ მომიგია საქმე სასამართლოში. პროტაგორმა უთხრა: „თუ ჩვენ მივმართავთ სასამართლოს და საქმეს მოვიგებ მე, გადაიხდი შენ, რადგან მოვიგებ მე; თუ შენ გაიმარჯვებ, გადაიხდი, რადგან მოიგე შენ". პროტაგორის მოწაფე ღირსეულად დახვდა. მისი პასუხი ასეთი იყო: „არა, თუ მე საქმეს წავაგებ, ვალდებული არა ვარ გადავიხადო, რადგან წავაგე, ხოლო თუ მოვიგე, არც მაშინ ვარ ვალდებული გადავიხადო, რადგან გავიმარჯვე".

**ზენონს** ერთმა ახალგაზრდამ თავი მოაბეზრა ბევრი ლაპარაკით. ფილოსოფოსმა ასეთი რჩევა მისცა: „ბუნებამ მოგვცა ერთი ენა და ორი ყური, რათა ორჯერ მეტი მოვისმინოთ, ვიდრე ვილაპარაკოთ".

ფილოსოფოს **არისტიპს** მამამ შვილი მიუყვანა სასწავლებლად. არისტიპმა მოითხოვა ხუთასი დრაჰმა. მშობელს ეძვირა და მასწავლებელს უთხრა: „ამ ფულით მე შემიძლია მონა ვიყიდო! იყიდე- უპასუხა არისტიპმა,- და შენ გეყოლება ორი მონა".

პლუტარქეს დაცული აქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდნენ გენიოსები თავიანთი რანგის მასწავლებლებს. **პლუტარქე** წერს, „სიკვდილის წინ პლატონმა შეაქო თავისი გენია და თავისი ბედი იმისათვის,რომ პირველი- დაიბადა ადამიანად, მეორე - ელინად და არა ბარბაროსად და პირუტყვ ცხოველად, აგრეთვე, იმისათვის, რომ ცხოვრება მოუწია სოკრატეს დროს".

პლუტარქეს სიტყვებით, **ალექსანდრე მაკედონელი** ამბობდა: ფილიპეს მადლობელი ვარ, რომ ვცხოვრობ, ხოლო არისტოტელესი, - რომ ვცხოვრობ ღირსეულად.

განათლებისადმი სწრაფვის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევარში, პელოპონესის ომის დროს, ათენში წერა-კითხვის უცოდინარი თითქმის არავინ იყო.

სწავლა-განათლების როგორ გზას მიჰყავდა თავისუფალი ელინი სულიერი კულტურის მწვერვალისაკენ. განათლებისა და სულიერ ფასეულობათა დახვეწის გარეშე წარმოუდგენელია თეატრისა და განსაკუთრებით ტრაგედიის (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე) ტრიუმფი. მარადიული მშვენიერების ხილვის წყურვილი გახდა იმის საწინდარი, რომ მრავალ საოცრებათა შორის ამოიმართა **ათენის აკროპოლისის** გრანდიოზული ფიგურა (ფიდიასის გენიის ნაყოფი), ელინური ხუროთმოძღვრებისა და, საერთოდ, მიწიერ ცხოვრებაზე ამაღლების უკვდავსაყოფად.

ათენში ესწრაფოდნენ აღიარებას ბერძნული სამყაროს გამორჩეული ადამიანები. იგი ელადის სულიერი ცხოვრების კანონმდებელი გახდა.

ათენის გამორჩეული როლი კარგად დაახასიათა მისი დიდების უპირველესმა ხუროთმოძღვარმა პერიკლემ. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სიტყვას, წარმოთქმულს ძვ.წ. 431 წელს, პელოპონესის ომის პირველ წელს დაღუპული ათენელების დაკრძალვაზე. **თუკიდიდესთან** დაცულ ვრცელ სიტყვაში **პერიკლე** მოაგონებდა თანამოქალაქეებს: სახელმწიფო წყობილებისათვის არ აგვიღია უცხოელთა წესები. სხვებისათვის წარმოვადგენთ ნიმუშს. არ ვბაძავთ არავის. ზომიერად ვავითარებთ სილამაზისადმი მიდრეკილებას, ვეუფლებით მეცნიერებას, მაგრამ არა სულის საზიანოდ. სიმდიდრეს ვაფასებთ იმისათვის, რომ ვიყენებთ სასარგებლოდ და არა ფუჭი ტრაბახისათვის. ჩვენთან სიღარიბე არ ითვლება სირცხვილად, მაგრამ სამარცხვინოდ ვთვლით, როდესაც ადამიანი შრომით არ ცდილობს მისგან თავის დაღწევას... ჩვენ ერთადერთნი ვართ, ანგარების გარეშე რომ ვეხმარებით სხვებს.

სიტყვის ერთი ნაწილი ათენის ხოტბაა: „მე ვამტკიცებ, რომ ჩვენი ქალაქი, მთელი ელადის სკოლაა, და, ვფიქრობ, თითოეული ჩვენთაგანი თავისთავად შეძლებს ადვილად და მოხდენილად გამოავლინოს თავისი პიროვნება სხვადასხვა სასიცოცხლო პირობებში... ესოდენ დიდებული საქმეებით დავადასტურეთ ჩვენი ქალაქის ძლიერება თანამედროვეთა და მომავალი თაობების გასაოცრად. ჩვენს დიდებას არ სჭირდება არც ჰომეროსი, არც რომელიმე სხვა მომღერალი".

ასე წარმოუდგენა პერიკლეს ათენის როლი. იგი არ აჭარბებდა. კლასიკური პერიოდის „ბერძნული საოცრების" აფეთქება, რომელიც დღესაც ანათებს კაცობრიობის კულტურისა და აზროვნების ოლიმპოს, ათენში მოხდა. ამას გულისხმობდა პერიკლე, როდესაც ათენს „ელადის სკოლას" უწოდებდა.



## ღვაწლმოსილნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 70 წლის ჭაბუკის პორტრეტის ესკიზი

ცხოვრების სამოცდაათი წელი ზოგისთვის ბევრია, ზოგისთვის- ცოტა. ბევრია იმისთვის, ვისაც ეს სამოცდაათი წელი მცონარობაში გაულევია და ამის შემდეგაც მაინცა და მაინც ბევრი არაფერი აქვს საკეთებელი, თუ არისთა გამრიგემ ინება და კვლავ გაუხანგრძლივა ცხოვრების საამქვეყნო საგზური. ცოტა კი იმისთვისაა, ვისაც თავისი დღენი მკლავ და მუხლჩაუხრელ შრომაში გაუტარებია, ღრმად დაუჩნევია თავისი წილი ურნატი წუთისოფლის სახნავ-სათესისათვის და დღესაც თანამოსაგრეთა საყდარში შემდგარი ლომის ხარივით უღალატოდ მოუზიდება ერთიან ჯამბარას და ვერ არც ფიქრობს, თუნდაც ოდნავ მოუშვას ნაჯაფარ ქედზე თავისი კაცური ნებით დადგმული უღლის სამაღლეები.

ძალიან ცოტაა 70 წელი პროფესორ **თედორე უთურგაიძისათვის** არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფიზიკურად და სულიერად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას სიბერისკენ არც კი მიუხედავს, არამედ იმიტომაც, რომ აქტიურზე აქტიური ცხოვრებით ნაცხოვრებს იმდენი რამ აქვს მოსასწრები და გასაკეთებელი, რომლისთვისაც ბარე კიდევ ერთი ამდენიც არ იკმარებდა.

დიახ, 70 წელი შეუსრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგეს, გელათის აკადემიის აკადემიკოსს **თედორე უთურგაიძეს**. ვინც პირადად იცნობს, ცხადია, იცის, რომ თავისი ცხოვრების ეს მნიშვნელოვანი მონაკვეთი ყმაწვილკაცობიდან ამ სიჭარმაგემდის მას ისე გაულევია, რომ არა თუ ჩრდილები, არამედ სულ ოდნავ შესამჩნევი წაბორძიკებებიც კი არსად გაჭაჭრებია მის გზა-სავალს. ამას ბატონი თედორე მისი გამჩენ-გამზრდელი ოჯახის მადლად თვლის და, რა თქმა უნდა, მართალიცაა.



თემ-სოფლის საკითხი კაცი იყო გიგო უთურგაიძე, გასაბჭოებამდის მამასახლისი გახლდათ. არა ისეთი, განსაკუთრებულად რომ წარმოგვიდგენდნენ ხოლმე საბჭოურ ფილმებში, არამედ ისეთი, სოფელი რომ პატრონად იწვევდა, ჭკუას ეკითხებოდა და მიჰყვებოდა კიდევაც მის ნარჩევს. იმ კაცთაგანი იყო, რომელთა შესახებაც გენიალურად თქვა გენიოსმა: „სწორის ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს, ცდუნება არა ხძირავდეს"-ო.

ვინ არ იცის, რა ქარიშხლებისა და ქარტეხილების გადატანა არ მოუხდა 20-30-იანი წლების ქართულ სოფელს და მათ შორის თუშეთსაც, რომლის მოსახლეობის, სულ ცოტა, ორი მესამედი მაინც კულაკობის იარლიყს იმსახურებდა. საიმედო ბურჯად ედგა გიგო უთურგაიძე თავის ხალხს ამ ძნელად მოსაგვარებელი ქარია კვეთების ჟამს. ბოლშევიკ-მენშევიკთა „შექცევ-გაქცევითი" ომები, 23-24-იანი წლების მღელვარე ამბები, „მთლიანკოლექტივიზაცია", კოლექტივიზაცია, კულაკობა და „მავნებლობა", მავნებელთა ჭიმაგი თავადაც „გაამავნებლეს" და აი, აქ მოხდა უპრეცედენტო რამ: ცენტრიდან გიგო უთურგაიძის სამხილებლად და მერე მის გადასასახლებლად გამოგზავნილმა კაცმა დავალების პირველი ნაწილი პირნათლად შეასრულა. ამასობაში დაღამდა კიდევაც და მეორე ნაწილის აღსრულება მეორე დღისთვის გადაიდო. გიგოს მხილების მოსასმენად მოსული თავშეყრა დაიშალა და, როგორც თუშები იტყვიან, მთავრობის წარმომადგენელი კაცი „ნაჯარევში დარჩა"- სოფლელებთაგან „შინაობა" არავინ უთხრა. მთელი კაცის სინდისმა არ მისცა ნება „ბრალდებულს", რომ უმასპინძლოდ დაეტოვებინა უცხო კაცი და გიგომ იგი შინ წაიყვანა, რათა იმ ღამეს ემასპინძლა, კიდევ ერთხელ და, შეიძლება, უკანასკნელადაც მოეწმინდა ნამუსი სოფლისათვის და მეორე დღეს კი ცოლ-შვილიანად გაჰყოლოდა ვინ იცის, საითკენ მიმავალ გზაზე.

არავინ იცის, რა ფასად დაუჯდა გამოგზავნილს, ხლო თუ არა ხლო, მაგრამ დავალების მეორე ნაწილი კი მან არ შეასრულა.

ღირსეულად გაუძლო გიგომ უღმრთოთა ხელით აღძრულ 20-30-იანი და 37-იანი წლების ძნელადგასაძლებ ქარტეხილებს, მაგრამ 40-იანი წლებისამ კი წააქცია და უდროოდ ჩააკეცა მუხლები უზომოდ დაღლილმა მამამ თედორე უთურგაიძისა.

დედა ანა, აგრეთვე სახელოვან ელიშერიძეთა ოჯახიდან გამოსული, ღვთის მადლითა და შეწევნით ბოლომდის შერჩა. და როგორც თვითონაც იტყვის ხოლმე, მოწიფულობის ასაკშიც გრძნობდა მის მაკონტროლებელ გავლენას, რის გამოც ცხოვრების მის წესში გამოირიცხებოდა არა თუ გადახვევა, სულ უმცირესი და თითქოს უწყინარი გადახრაც კი.

და განვლო ცხოვრების 70 წელი თედორე უთურგაიძემ „კარგის ნერგის ნაყოფმა", „ხელოვანის მებაღის შეწყვეროვნამ" და „ღვთისხელის შემნახავის ბარებულმან" - საუკეთესო შვილმა და უშესანიშნავესმა მშობელმა, უკეთესთა შორის საუკეთესო მოწაფემ და უებრო გულისხმიერმა აღმზრდელმა და მასწავლებელმა, მეცნიერმა და დიდი ანალიტიკური გონების მქონე მკვლევარმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ აქვე გაიარა ასპირანტურის კურსი დიდი მასწავლებლის, აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ იღვწის თედორე უთურგაიძე ქართულ-ქართველურ ენათმეცნიერებაში, მუდმივად დგას მის ავანგარდში ნოვატორთა შორის და მყიდარ ტრადიციებზე დაფუძნებული მისი ნაღვაწი, ამავე დროს, გამოირჩევა მეცნიერული სიახლეებით. მისი პირველი ყურადღება მისთვის მშობლიური თუშური კილოს ხვდა წილად, რაც გამოიხატა ფრიად და ფრიად საყურადღებო მონოგრაფიით „თუშური კილო". უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ფონოლოგიური ნაშრომები, მათ შორის მონოგრაფია- „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა", რომლებსაც ქართველურ ენათა მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი შრომები მორფოლოგიასა და სინტაქსში, რომელთა მეცნიერული სიახლეები მუდმივად აუხსნელებს ქართულ გრამატიკულ აზრს. თედორე უთურგაიძის ხელმძღვანელობით საველე ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალა ამდიდრებს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიალექტოლოგიურ არქივს. მეტად მნიშვნელოვანია მისი წვლილი ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ისტორიის გამომზეურება-დაფასების საქმეში.

მაგრამ მაინც მისი ყველაზე დამახასიათებელი თვისება მეცნიერული სიახლეებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა, რისი უდავო გამოხატულებაა ის, რომ იგი დღეს სათავეში უდგას ჯგუფს, რომელიც მუშაობს ენის კონცეპტუალური და კომპიუტერული მოდელების შექმნაზე, დაკავებულია ენის მანქანური შესწავლის ლინგვისტური პრობლემებით.

თედორე უთურგაიძე რომ უაღრესად გულისხმიერი პედაგოგი და აღმზრდელია ამას უყოყმანოდ დაადასტურებს ახალგაზრდა ლინგვისტთა მთელი არმია. შეუძლებელია დაავიწყდეს მისი დიდი პედაგოგიური ტაქტი და კეთილშობილური ზეგავლენა მათ, ვისაც კი საქმე ჰქონია მასთან ან როგორც სტუდენტს, ან როგორც ასპირანტს.

თედორე უთურგაიძის პიროვნების აქ წარმოდგენილი ისედაც სქემატური პორტრეტი მეტად არასრული იქნება, თუ არ ვახსენეთ მისი კიდევ ერთი თვისება: განსაკუთრებული გატაცება თეატრალური ხელოვნებითა და პოეზიით. ესეც, ალბათ, მისი არტისტული ბუნებიდან მომდინარეობს, რის შედეგიც იყო მის მიერ განხორციელებული დადგმები გორის თეატრში, იქაურ პედაგოგიურ ინსტიტუტში მისი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე და მშობლიური ალვანის სასოფლო კლუბის სცენაზე ასპირანტობის ბოლო წლებს.

ყველასთვის სასურველი და ულალატო თანამშრომელი იგი საუკეთესო თანამესუფრეცაა. მისგან ნათქვამი სადღეგრძელოების უმეტესობა ბრძნული შეგონებები და გონებამახვილური ალეგორიებია. მის ახლობელთაგანს, ალბათ, ბევრს ახსოვს 1967 წლის ზაფხული, თუშეთი, სოფელი შენაქო. ამ წელს თუშები დიკლოსა და შენაქოს ტრაგედიის 130 წლისთავს აღნიშნავდნენ. ამ ღონისძიების ინიციატორმა თ. უთურგაიძემ თან წაიყვანა ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთაგან შედგენილი მოზრდილი ექსპედიცია, დაპატიჟა ქართული მწერლობისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მოწვეული იყვნენ ლეკებიც - ამ ტრაგედიის დამტრიალებელთა შთამომავალნი. ამოუდნენ არჩილ სულაკაური, ნოდარ დუმბაძე, სარგის ცაიშვილი, ნოდარ ებრალიძე და სხვანი. მასპინძელთა შორის იყვნენ ისინი, ვინც ქმნიდა თუშეთის ინტელიგენციის სახესა და სახელს. საზეიმო ცერემონიალს თან ახლდა ამგვარ ღონისძიებათა აუცილებელი ნაწილი - ლხინი და, რა თქმა უნდა, სუფრაც, რომელზედაც თედორე უთურგაიძე თამადობდა. სასმელმა რომ ცოტა იძალა, ლხინის ახალგაზრდა მონაწილეთა შორის თავდაპირველად უწყინარი დავა უცბად მუშტიკრივად აფეთქდა. მაგრამ პატივცემულ პირთა დროულმა ჩარევამ მდგომარეობა უცბადვე განმუხტა და სუფრაც თავისი რიგით გაგრძელდა. აი, მაშინ თქვა თედორე უთურგაიძემ სადღეგრძელო, ალვირის გაუმარჯოსო, ბევრმა იქ დამსწრეთაგანმა, ალბათ, თამადის ღვთისნიერობას დააბრალა ეს, მაგრამ გამგებმა გაიგო. აზვირთებული ვნებებისა და გრძნობების გარეშე ადამიანთა ცხოვრება არარაობაა, მაგრამ საზოგადოების უბედურებად გადაიქცევა იგი, თუ ალვირი არ აკონტროლებს და სასურველი მიმართულებით არ წარმართავს მათ.

გაუმარჯოს, ჩემო თედორე, ალვირს და მარჯვენას, რომელსაც მტკიცედ უპყრია მისი ტოტები!

**გიორგი ცოცანიძე**

ღვაწლმოსილნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ენათმეცნიერების გორგი თილისძე

ნეტავ თქვენ, უთურგაიძნო!
ყანა არ მაგიცდებისა,
მკერდიან-დუმიანი
წინ სუფრა დაგიხვდებისთა,
ამდინარ-ჩამამდინარი
წყემსი, მუშაი ძღებისა.

ეს ლექსი ხევსურეთშია ჩაწერილი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ იგი თუშეთში წარმოშობილიყო. უთურგი (ძნ. უთურგა) ხევსურეთში ძალიან გავრცელებული სახელია. მრავალ უთურგაჯელ პურად და გულად ხევსურს ერქვა უთურგა. კარგი ვაჟები იყვნენ და კარგ შვილებსაც ზრდიდნენ:

არდოტს, გიორგის გიორგივ, გიქრის დაელათის ქარით.
ერთიმც სხვა გვყვანდა, გიორგი, შენდ რო ეჭირა მკარით! —
მაისტლებს გაგვიხუმებდით, შაედებოდათ ზარით.

გელათის აკადემიის აკადემიკოსს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სამოცდაათი წლის ჭაბუკ პროფესორ თედო უთურგაიძეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხთა „ინტერნაციონალური" სისხლი უჩქეფს ძარღვებში: მისი გვარის ეპონიმი უთურგა ხევსურეთის სოფ. ლუღლიდან შვიდი თაობის წინ გადასულა თუშეთს. სოფ. ლუღში მხოლოდ ქისტაურები ცხოვრობდნენ. შესაძლოა მათი წინაპარი ინგუშეთის აულ ხულიდან მოხვდა ხევსურეთში. თედოს მამა გიგო უთურგას შთამომავალი თუში იყო, დედა ანიკო კი — წოვათუშის ქალი. არ არის ინტერნაციონალი?

ჩემი და თედოს თაობის ხალხს გვქონდა ბედნიერება გვესმინა ქართული ენათმეცნიერების მესაძირკვლეებისათვის: გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. წერეთელი ჩვენი მასწავლებლები იყვნენ. იმ დროს მოღვაწეობდნენ კ. კეკელიძე, გრ. კიკნაძე, ნ. ბერძენიშვილი, ნ. კეცხოველი, კ. ბაქრაძე, შ. ნუცუბიძე, ა. ჯანელიძე. თედოს მოძღვარი აკაკი შანიძე იყო.

მე მოგვიანებით შევუერთდი ფ. ერთელიშვილის, გ. მაჭავარიანის, ნ. ანდღულაძის, თ. უთურგაიძის საძმოს. დიდი ბედნიერება იყო ამ ხალხის გვერდზე დგომა, როგორც მეცნიერული კეთილსინდისიერების, ისე უბრალო ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისით...

მაშინ მეცნიერებით არც კვალუცობდნენ და არც ვაჭრობდნენ. წმინდა გულით და სადი გონებით იღვწოდნენ. ერთი მაგალითი: ფ. ერთელიშვილი და თ. უთურგაიძე ასპირანტურაში ერთ ადგილზე აბარებდნენ. მეტოქენი იყვნენ. მეგობრებმა გადაწყვიტეს ერთად ემეცადინათ, რომ ერთს ან მეორეს რაიმე უპირატესობა არ ჰქონოდა, ორივემ ბრწყინვალედ ჩააბარა და რექტორატმა ერთი ასპირანტის ადგილი დაუმატა...

აკრძალული ილეთების გამოყენება, „ჩაწყობა" გამორიცხული იყო. როცა ასპირანტურის ზემომოყვანილ ამბავს მიყვებოდნენ თედო და ფარნაოზი (ცხადია, შეფარული სიამაყითაც), მე ვიგონებდი ხოლმე ერთ ამბავს ხევსურების ცხოვრებიდან: ქორწილსა თუ სადღეობში ორ ხევსურ ახალგაზრდას „შუღლად გამაუვიდა". ღირსეული მეტოქენი აღმოჩნდნენ, დაჭრეს ერთმანეთი, მაგრამ არც ერთი არ დაჯაბნილა. ერთ-ერთი მოჩხუბრის ძმა ესწრებოდა ამ ამბავს. თავიდან შუღლში არ ჩარეულა. მაგრამ გასისხლიანებული ძმისთვის მშვიდად ცქერა, როცა მისი გამსისხლიანებელი აგერაა, ალბათ ძალიან ძნელია. იშიშვლა ხანჯალი და ძმის მეტოქეს ერთი ჭრილობა დაუმატა. გამოქომაგებული ძმა მოტრიალდა და თავისი ძმა დაჭრა: „— შე წითელ ფურო, ან მე რად მარცხენი, ან მაგას რად სჩაგრავ, ხომ ხედავ ერთი ერთზე ვართ!"-ო...

თ. უთურგაიძეს ვერც ცხოვრებასა და ვერც მეცნიერებაში „წითელფურობას" ვერავინ დააყვედრებს: აკეთებს იმას, რაც საჭიროა და ისე აკეთებს როგორც საჭიროა. ერთი ნაკლი აქვს თედოს: მეტისმეტად დამთმობ-მიმტევებელია. მაგრამ ახლა ამას აღარაფერი ეშველება, ახლა მისი წვრთნა მინდორში ქარის დევნა იქნებოდა. თანაც: „კაი ყმა, ქორი, არწივი არცერთ არ გაიწვრთნება" და „ვერ მააწონებთ კარგს ყმასა, რაც არ უჯდება ჭკვაში!"

როგორც სხვა მეცნიერებანი, ენათმეცნიერებაც მრავალწახნაგოვანია: ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემები, ტიპოლოგიური პრობლემები და სხვ. და სხვ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: თ. უთურგაიძე ყველა ამ დარგში კომპეტენტური მეცნიერია, ყველგან უთქვამს და იტყვის წონიან, უწუნო სიტყვას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი მუშაობა ახალგაზრდა კადრებთან, — მისი ხელდასხმით მრავალი ახალგაზრდა დაადგა მეცნიერების გზას. ღმერთმა კელ მაუმართოს!

თედო მუხლჩაუხრელად შრომობს და უძღვება ოჯახს, „ამდინარ-ჩამამდინარ" ხალხს, შვილ-შვილიშვილებისათვის თავგადაკლული მამა-პაპაა...

და ბოლოს:

ლექსით რომ შევეხმიანო
თედოს არ გაუკვირდება:
ძვირფასო ნათლიმამაო,
დიდხანს იცოცხლე კიდევა!
განიორწყლებულ სამშობლოს
შენფერ ვაჟები სჭირდება,
(ჩუმად გაგიმხელ: უფალი
შენც მოძღვრის ასაკს გპირდება!)

P.S. გორგი თილისძე ("თილის ობოლი") სახელოვანი თუში იყო სოფ. კვავლოდან. მასზე ლექს-სიმღერებს მისი სიკვდილის შემდეგაც თხზავდნენ:

ნეტარ არ გამახყიდდესა თილისძენ გორგის ქმალსაო?
თუ გამახყიდდეს, ვიყიდდი, მივსცემდი ცხვარსა-დ' რვალსაო.
ჩავდებდი ციხის ლიბუში, გაიმაგრებდა ქვასაო.
ლიბუში რო იქნებოდა, ლეკებს მისცემდა ზარსაო.

ალექსი ჭინჭარაული




ვაი საქართველოს... ვაი ჩვენს ენას!...

14

## წერილი რედაქციას

ქართული ბიბლიოთეკა

# მოჯადოებულია!

იოსებ გრიშაშვილს თავის განთქმულ „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში" შეტანილი აქვს ალექსანდრე სარაჯიშვილის მინიატურა „წმინდა ქართული". ი. გრიშაშვილი წერს: „მაგონდება ალ. სარაჯიშვილის პატარა, მოხდენილი წერილი", და ორი წერტილის შემდეგ სათაურიან-ქვესათაურიანად, თავიდან ბოლომდე მოჰყავს ალ. სარაჯიშვილის ტექსტი, ბრჭყალებში ჩასმული. ბრჭყალი სათაურთან იხსნება და ტექსტის ბოლოს იხურება, იქ, სადაც სქოლიოს ნიშანიც ზის; ხოლო სქოლიოდან ვგებულობთ, რომ ალ. სარაჯიშვილის ეს ნაწარმოები, რომელსაც ი. გრიშაშვილის ყურადღება მიუპყრია, იუმორისტულ ჟურნალ „ნიშადურის" 1907 წლის „№14-ში გამოქვეყნებულა.

ხომ ასე კეთილსინდისიერად აქვს მითითებული „ბოჰემის" ავტორს მის მიერ გამოყენებული სხვისი ტექსტის „მისამართი", და მაინც დიდხანს მეგონა, რომ მინიატურა „წმინდა ქართული" თვითონ იოსებ გრიშაშვილს ეკუთვნოდა. ასე მეგონა მანამ, სანამ სანაძლეოს წავაგებდი ბატონ ნიკა აგიაშვილთან.

-ეგ არაფერი, - მითხრა ბატონმა ნიკამ, როცა შემატყო, რომ გუნება წამიხდა,- ეს ადგილი ამ წიგნში მოჯადოებულია: ვერავინ ამჩნევს ვერც ნამდვილი ავტორის გვარს, ვერც ბრჭყალებს, ვერც სქოლიოს. მეც კარგა ხანს „წმინდა ქართული" სოსოსი მეგონაო".

მაშინ ვიფიქრე, ამას ბატონი ნიკა ჩემ დასამშვიდებლად ამბობს-მეთქი, მაგრამ თანდათან ვრწმუნდები, მართალი უთქვამს: ეს ადგილი ი. გრიშაშვილის წიგნში მოჯადოებულია!

რამდენიმე წლის წინ ძველ „ცისკრებს" ვათვალიერებდი. 1968 წლის მეხუთე ნომერში ზურაბ კიკნაძის რეცენზიაა დაბეჭდილი შ. ანდრონიკაშვილის წიგნზე ბატონი ზურაბი წერს:

„ქართველმა მკითხველმა (თუ იგი თავგამოდებული პურისტიც არის) ზერელედ მაინც რომ გადახედოს სიტყვების სიას, რომელიც დართული აქვს შ. ანდრონიკაშვილის წიგნს „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან", შეიძლება ი. გრიშაშვილის კვალობაზე თქვას („ბოჰემიდან"): „თურმე წმინდა ქართული ენა არც გვქონია". მაგრამ განსვენებული პოეტი თავის ანეკდოტს იმგვარად ამთავრებს, როგორც შეჰფერის თავისი ენის სიძლიერესა და ბუნებაში ღრმად ჩახედულს, რომ „ენის სიწმინდე არა თავისებური სიტყვებია, არამედ თავისებური სინტაქსი".

სულ ახლახან „ბურჯი ეროვნებისა"-ს წლევანდელ მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ფრაგმენტი დაუვიწყარი ბესიკ ჯორბენაძის გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან „ენა და ეროვნული კულტურა". აქაც ალ. სარაჯიშვილის ეს მინიატურა ი. გრიშაშვილს მიეწერება!

ამ წერილს იმისთვის არ ვწერ, რომ ზედაპირი დავუდო ალ. სარაჯიშვილის ნაწარმოების ი. გრიშაშვილისთვის მიკუთვნების „ტრადიციას": ვიცი, ამას არაფერი ეშველება, რადაც იდუმალი „კანონზომიერების" ძალით ამ წიგნის კიდევ არაერთი წამკითხველი მიაკუთვნებს „წმინდა ქართულს" „ბოჰემის" ავტორის კალამს!

ვწერ იმიტომ, რომ მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ „წმინდა ქართულის" ლიტერატურულ ღირსებებზე

ჟურნალისტისა და ლიტერატორის ალექსანდრე სარაჯიშვილის (1851-1914) ეს ნაწარმოები შედევრია! მე მის ჟანრს ასე განვსაზღვრავდი: ფილოლოგიური (ან ლინგვისტური) ნოველა, ნამდვილი ნოველა - მოულოდნელი ფინალით, სხარტად და დახვეწილი იუმორით დაწერილი.

თანაც რაოდენ თანამედროვედ ჟღერს ოთხმოცდაათი წლის წინ გამოქვეყნებული ეს თხზულება! ამაში პირველივე ფრაზაც დაგარწმუნებთ: „ვინ არ ჩივის ეხლა ქართული ენის წახდენას!"

სამწუხაროდ, ალ. სარაჯიშვილის თხზულებები წიგნად გამოცემული არ არის (არსებობს მხოლოდ ლ. ფურაძის მონოგრაფია ამ მწერალზე). ამიტომ ქართული ენის გულშემატკივართ ამ ნოველის გასაცნობად ისევ ი. გრიშაშვილის წიგნზე უნდა მივუთითოთ: გადაშალეთ ი. გრიშაშვილის ხუთტომეულის მესამე ტომი 135-ე გვერდზე და წაიკითხეთ ალ. სარაჯიშვილის მშვენიერი ნოველა! გარწმუნებთ, დიდი სიამოვნება გელით!

**ლევან ბრეგაძე**

## ნარკვე თქმულთა

# კოლეგებო, ჩაიხედეთ და იცანით თავი თქვენი!

„დაზარალებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიდის სამართალდამცავ ორგანოებამდე, რადგან წამართვეს, რაღაცა მაქვს. ის რაღაცა რატომ და საიდან მოხვდა შენთან. უკვე ის კაცი ფიქრობს, თუ ზარალი ძალიან დიდი არ არის, თვეობით რატომ ვიარო, რატომ ვამტკიცო, ვითომ არ წაუღიათ. საშინელებაა!"



**„შანსი"** „№074, VI, 1997.

„ახლახან აზერბაიჯანელი მკითხველები შეხვდნენ პოეტს, რომელიც აზერბაიჯანულად გამოცემული კრებულის წარდგინებას მიეძღვნა".

**„საქართველოს რესპუბლიკა"**, „№143. 22.VI, 1997

„ეს იყო პატარაია, ქალთა იზოლატორიდან. იქ იმშობიარა პატარა თემური".

**„საქართველო"**, 19. VI, 1997

„პენსია სახელმწიფოსაგან მოწყალება კი არაა, არამედ დამსახურებული შრომის ლვაწლი".

იქვე, წერილის სათაური

„ჟურნალისტი, რომელიც მაფიის შესახებ წერს ან მაუწყებლობს, მას საფრთხე ელის".

„ნამდვილად კარგია, რომ ჟურნალისტიკისათვის ჭკუა დაგვარიგეს".

**სატელევიზიო გადაცემა „მოამბე"**, 17.VI.

„ამ მოხუცის, ატანა არა მაქვს!"

**სატელევიზიო გადაცემა „ბასტი-ბუბუ"** 1997. 12. III

# ანბანი

# ხვითო

**შემეცნებითი თამაში ქართული ენის სახალისო ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის ელემენტებით.**

## ორფევსი და ევრიდიკე

*(მეორე ნაწილი)*

მიცვალებულთა სამეფოს მბრძანებელი დათანხმდა, მაგრამ ერთი პირობით: ორფევსი ევრიდიკეს წინ უნდა გაძღოლოდა და საიქიოდან გასვლამდე უკან არ უნდა მოეხედა. თუ ამ პირობას ვერ შეასრულებდა, ცოლს დაკარგავდა და ევრიდიკე სამუდამოდ აჩრდილთა ქვეყანაში დარჩებოდა.

1. თუ გახსოვს, მითის პირველ და მესამე ნაწილში საკუთარი და საზოგადო სახელები დავახასიათეთ. ერთიცა და მეორეც არსებით სახელებს აჯგუფებს შინაარსის მიხედვით. **არსებითი სახელი** კი საგნის აღმნიშვნელი სიტყვაა. საგანი შეიძლება საკუთარი ძალით მოძრაობდეს, ამგვარ ცოცხალ არსებათა აღმნიშვნელი სახელები **სულიერთა** ჯგუფს მიეკუთვნება, ისეთი საგნებისა კი, რომელთაც საკუთარი ძალით მოძრაობა არ შეუძლიათ, **უსულოთა** ჯგუფს.

თუ ყველაფერი გაიგე, ამ ცხრილის შევსება არ გაგიჭირდება:

| არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით | |
|---|---|
| სულიერთა | უსულოთა |
| | |

2. თხრობა მოსაწყენი, მოსაბეზრებელი რომ არ იყოს, ერთი და იმავეს გამეორებას ერიდებიან. მითის ამ ნაწილში ის ქვეყანა, რომელსაც ჰადესი განაგებდა, სამჯერაა ნახსენები და სამივეჯერ სხვადასხვანაირად:

1. ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐ ☐☐☐☐☐☐; 2. ☐☐☐☐☐☐

3. ☐☐☐☐☐☐☐☐ ☐☐☐☐☐☐☐

მითის სხვა მონაკვეთებში ამ ქვეყნის სხვაგვარი დასახელებებიც შეგხვდა, იქნებ ისინიც გაიხსენო?

..................................................................................

..................................................................................

3. შეავსე ცარიელი უჯრები:

ვინ დათანხმდა ორფევსს?

ვინ დარჩებოდა სამუდამოდ აჩრდილთა ქვეყანაში?

ვინ უნდა გაძღოლოდა წინ ევრიდიკეს?

ვინ დაეკარგებოდა ორფევსს?

ოთხივე სიტყვა, რომელიც ცარიელ უჯრაში ჩაწერე, მოგვიგებს კითხვაზე **ვინ**. ქართულში კითხვა **ვინ** მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვებს დაესმის, ყველა დანარჩენი – სულიერიც და უსულოც – მოგვიგებს კითხვაზე **რა**.

ახლა შენ არსებითი სახელის უფრო მეტ ჯგუფს იცნობ შინაარსის მიხედვით. ესენია:

1. სულიერთა და უსულოთა სახელები;
2. ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფის სახელები;
3. საკუთარი და საზოგადო სახელები.



# ახალი წიგნები

**ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები VI ტომი.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ამ კრებულში იბეჭდება სამეცნიერო სტატიები ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე. კრებულის რედაქტორი პროფ. გ. კვარაცხელია.

წიგნი დაიბეჭდა გამოცემლობა „ქართული ენის“ გრიფით.

**ქართველური მემკვიდრეობა, I.**

წიგნი წარმოადგენს ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანოს. მასში გამოქვეყნებულია ამ ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ყოველწლიური სამეცნიერო შეკრების – „ქუთაისური საუბრების“ – მასალები და ინსტიტუტის მომზადებულია ჯგუფების მიერ მომზადებული კომპლექსური (ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული და სხვა) ხასიათის ტექსტები სამეცნიერო აპარატითურთ.

წიგნის რედაქტორია ტ. ფუტკარაძე. გამოცემა დააფინანსა ქ. ქუთაისის მერიამ.

**ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა**

წიგნი გამოქვეყნდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გრიფით, როგორც ამ კათედრის შრომათა I ტომი. იგი დამხმარე სახელმძღვანელოდ რეკომენდებულია ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში (გვ. 1–198) ძველი ქართულის ენობრივი მიმოხილვაა წარმოდგენილი. მეორე ნაწილში (გვ. 199–384) საკითხავი მასალაა დაბეჭდილი; აქ წარმოდგენილია როგორც ადრე გამოცემული, ისე ჯერ გამოუქვეყნებელი ენობრივი ძეგლები (ნაწილი საკითხავი მასალისა დაბეჭდილია ასომთავრულით, ნაწილი– ნუსხა-ხუცურით...). წიგნს ერთვის ვრცელი ლექსიკონი (გვ. 385–582).

გამოცემის რედაქტორია პროფ. კ. დანელია.

**მ. ხვედელიძე, ნ. ლომთაძე, ანი და ბანი უცხოელთათვის.**

ანოტაციაში ვკითხულობთ: „წიგნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრაზე მომზადდა.

უცხოელ მოქალაქეთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს გამოცემა ორ წიგნადაა გამიზნული. წინამდებარე პირველი წიგნი არაა ქართული ენის თვითმასწავლებელი. იგი ანბანის შესწავლას, არტიკულაციის გამართვასა და მარტივი სასაუბრო მეტყველების განვითარებას გულისხმობს მასწავლებლის დახმარებით. მეორე წიგნი ქართული ენის შესწავლის მსურველთ რთული ენობრივი კონსტრუქციების დაძლევაში შეუწყობს ხელს“.

წიგნის რედაქტორია ა. გომართელი; გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

# ქრონიკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1997 წლის 1–3 ივლისს გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია – „მოდელი 97“ (პირველი ასეთი კონფერენცია – „მოდელი 96“ – გასულ წელს ჩატარდა), რომელიც ენის კონცეპტუალურ და კომპიუტერულ მოდელებს მიეძღვნა. გარდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებისა, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და მართვი სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა.

* * *

1997 წლის 2–4 მაისს ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ქართველოლოგთა სიმპოზიუმი „ქუთაისური საუბრები –IV“. სიმპოზიუმში გარდა ქართველი სპეციალისტებისა, მონაწილეობა მიიღეს ქართველოლოგებმა შვეციიდან, კანადიდან, გერმანიიდან და რუსეთიდან.

სიმპოზიუმის მასალები გამოქვეყნდა.

* * *

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში არჩევას ვულოცავთ*
*ბატონ ზაზა ალექსიძეს,*
*ბატონ გურამ თოფურიას,*
*ბატონ ელგუჯა ხინთიბიძეს.*

## 5(22) ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. თერგი. 3. ზებრა. 6. მთა. 7. ინდაური. 8. ბია. 11. ისანი. 12. ირემი. 13. ლელეი. 14. სიათა. 16. კბილი. 21. იხარე. 22. ერა. 23. ატამი. 24. იკონოგრაფია.

**შვეულად:** 1. თეთრი. 2. ირიბი. 3. ზვინი. 4. არილი. 5. იალალი. 6. იარა. 10. ქერი. 14. სენი. 15. ალოე. 16. კატა. 17. ითრი. 18. ხარი. 19. არაგვი. 20. ფარა.

გაზეთ „ბურჯი ეროვნებისას“ აგვისტო–სექტემბრის ნომრები გამოვა ერთად (1997 წლის სექტემბერში).

# ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!...




